Ajara Glamping stands out from its counterparts through the variety of select services they provide for their customers. They offer activities such as: tours in Keda and Shuakhevi municipalities, visits to wine cellars, introductions to local dishes, observing the process of making Chiboni (a local instrument), hiking to the waterfall in the gorge of the river Surnali, and experiences with Adjarian songs, dance, culture, and more.

The beneficiary Giorgi Tavartkiladze is well acquainted with the concept of glamping and already has half a year of practice in the management of a glamping site. Giorgi also has experience booking tours and acting as a guide, thus he understands the demands of the tourists very well.

Glamping has become increasingly popular in Georgia over the last few years. This is evident through the statistics of Google and various booking platforms, such as Booking.com.











# სასტუმრო „ზებო“ სოფელი გობრონეთი

+995 593 933 403

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ზებურ ბოლქვაძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გობრონეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 20,370 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 16,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,370 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 8 ადამიანი: 3 ქალი, 5 მამაკაცი |



ზებურ ბოლქვაძის ოჯახი, სოფელ გობრონეთის ვიზიტორებს სასტუმრო “ზებოში” მასპინძლობს. სტუმრებს საშუალება აქვთ დრო გაატარონ ტრადიციულ აჭარულ კომპლექსში, რომელიც მოიცავს აჭარულ სახლს, ეთნოგრაფიული ნიმუშების საგამოფენო სივრცეს და ადგილობრივი კულინარიული ნიმუშების სადეგუსტაციო/სარეალიზაციო კუთხეს. “ზებოს” ღირსშესანიშნაობებს შორისაა აჭარული წისქვილი, თონე, სამჭედლო და ბეღელი, რომელთა ინტერაქტიულ აქტივობებში სტუმრებსაც შეუძლია ჩართვა.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, უკვე არსებული სასტუმრო „ზებოს“ ბაზაზე ხის აჭარული სახლი აშენდა, მოეწყო 2 სასტუმრო ოთახი, სადეგუსტაციო კუთხე და საგამოფენო სივრცე.

ამას გარდა, ეზოში განთავსდა თონე, სამჭედლო, წისქვილი და ნალია. განახლებული “ზებოს” სახით, რეგიონში გაჩნდა ეთნიკური ელემენტებით დატვირთული ტურისტული კომპლექსი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის დამთვალიერებელთა ნაკადს. ამავდროულად, სადეგუსტაციო/საგამოფენო სივრცის დახმარებით, ადგილობრივ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის საშუალება შეემატა.

პროექტის ბენეფიციარ ზებურ ბოლქვაძეს ტურიზმის სფეროში 13-წლიანი წარმატებული გამოცდილება აქვს. ამ მიმართულებით, ზებურს არაერთი ჯილდო, სერტიფიკატი და ორდენი აქვს მოპოვებული.

# GUESTHOUSE ZEBO GOBRONETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Zebur Bolkvadze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Gobroneti Village |
| **Project Budget** | 20,370 GEL |
| **EU funding** | 16,000 GEL |
| **Co-financing** | 4,370 GEL |
| **Number of employees** | 8 persons: 3 women, 5 men |

The family of Zebut Bolkvadze hosts guests visiting Gobroneti in their guesthouse Zebo. Visitors have the opportunity to spend time in a traditional Ajara complex, which includes an Ajarain house, an ethnographic exhibition, and local culinary exhibits. Among the sights offered at Zebo's guesthouse are an Adjarian mill, a traditional stone oven for baking, a blacksmith, and a barn, all of which offer interactive activities for the guests.

With the support of Keda LEADER, a traditional Adjarian wooden house was built at the base of the existing guesthouse Zebo, which consists of two guest rooms, a degustation corner, and an exhibition space. In addition, other components of the complex were built in the same yard: a bakery, blacksmiths, mill, and a nalia (a traditional Adjarian crop hut).

As a result of the renewed Zebo complex, a tourist destination rich with ethnic elements has emerged in the region with the potential to attract more visitors and create an additional market for trading local products.

Project beneficiary Zebur Bolkvadze has 13 years of successful experience in the field of tourism, proven by numerous awards, certificates, and medals.









# ღვინო და პოლიფონია ზვარის თემი

+995 591 980 823

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ირაკლი სირაბიძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, ზვარის თემი, სოფელი სირაბიძეები |
| პროექტის ბიუჯეტი | 37,750 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 26,250 ლარი |
| თანადაფინანსება | 11,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი |



ზვარის თემის სოფელ სირაბიძეების ამ სასტუმროში თითოეულ ნომერს თემატური სახელი აქვს - “ცოლიკოური”, “ჭიბონი” და ა.შ. იქვე, ქართულ და ინგლისურ ენებზე შესაბამისი დეტალებით გაფორმებული და განთავსებულია ინფორმაცია, როგორც აჭარის, ისე კონკრეტული სახელწოდების შესახებ. სასტუმრო, სახელ-წოდებით “ღვინო და პოლიფონია” 15-მდე სტუმარს იტევს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ დააგემოვნონ ადგილობრივი ტრადიციული კერძები.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, საოჯახო სასტუმროს ნომრები და ტრადიციული მარანი მოეწყო, გაშენდა სადემონსტრაციო ვენახი და აშენდა ხის ახალი კოტეჯი.

პროექტის ბენეფიციარ ირაკლი სირაბიძეს ტურისტებთან მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ეფექტიანად განავითაროს ბიზნესი.

# WINE AND POLYPHONY SIRABIDZEEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Irakli Sirabidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Zvari community, Sirabidzeebi Village |
| **Project Budget** | 37,750 GEL |
| **EU funding** | 26,250 GEL |
| **Co-financing** | 11,500 GEL |
| **Number of employees** | 4 persons |

Wine and Polyphony is a family hotel decorated in a traditional Adjarian style. Each room has its own folk-theme such as Tsolikouri, Chiboni, etc. and contains information in English and Georgian language on both Ajara and the specific theme accorded to the room. In addition, the hotel also offers separate cottages next to the hotel. In total, the complex can accommodate up to 15 guests.

With the support of the Keda LEADER project, hotel rooms and a traditional wine cellar were renovated, a demonstration vineyard was assembled, and wooden cottages were built.

Irakli Sirabidze has 15 years of experience in tourism which allows him to continue to develop his business successfully.



# ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲙᲝᲢᲔᲯᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲣᲜᲪᲔᲗᲘ

+995 558 106 010

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | გოგა ღოღობერიძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახუნცეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 86, 040 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 59,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 16,540 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 15 ადამიანი: 4 ქალი, 11 მამაკაცი |



დამსვენებელს სოფელ მახუნცეთში ღოღობერიძეების ხის კოტეჯები ელის. 4 კოტეჯი, საერთო ჯამში, 16 ვიზიტორს მასპინძლობს და ნატურალური ღვინისა და ქართული ტრადიციული სამზარეულოს გარდა, მაღალმთაინ აჭარაში სათევზაო ტურებსაც სთავაზობს.

“ქედა ლიდერის” ფარგლებში, გოგა ღოღობერიძემ ააშენა და მოაწყო 20 კვ.მ ფართობის 4 კოტეჯი, ღია კაფე და სამზარეულო და სათანადო ინვენტარით აღჭურვა. მოაწყო ეზო და ღვინის სადეგუსტაციო კუთხე. პროექტი ადგილობრივ მოსახლეობას პროდუქციის რეალიზაციასა და სოფლად ტურიზმის განვითარებაში დაეხმარება.

ბენეფიციარ გოგა ღოღობერიძეს ბიზნესანალიზის 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. ასევე, საქმის წარმართვასა ტურისტების მიღება-დაბინავებაში, უცხოელ დამსვენებლებთან ურთიერთობის ხანგრძლივი პრაქტიკა ეხმარება.

# GHOGHOBERIDZEEBI'S WOODEN COTTAGES – MAKHUNTSETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Goga Ghoghoberidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Makhuntseti Village |
| **Project Budget** | 86,040 GEL |
| **EU funding** | 59,500 GEL |
| **Co-financing** | 16,540 GEL |
| **Number of employees** | 15 persons: 4 women, 11 men |

This newly built hotel in the village of Makhuntseti offers guests everything they need to have a comfortable experience. In total, the 4 fully equipped cottages can accommodate 16 guests. The place offers high quality food and wine made from natural products and unique services including fishing tours that gives the guests the chance to discover the Adjarian highlands.

Within the framework of the project, 4 cottages, each with an area of 20 m2, were built on land owned by the beneficiary. The surrounding yard was renovated and an open cafe and kitchen were built and supplied with modern equipment. A wine tasting corner was also set up.

Goga Ghoghoberidze has 10 years of experience in business analysis in banking and has worked in the field of tourism, as he is accustomed to hosting international guests and to helping others find accommodation.

The project supported the sale of local products and the development of rural tourism.



# ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲖᲘᲐᲠᲘ“ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲨᲔᲕᲐᲑᲣᲠᲘ

+995 599 574 605

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | „ამხანაგობა სამზიარი“ |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედის თემი, სოფელი შევაბური |
| პროექტის ბიუჯეტი | 60,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 42,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 18,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 8 ადამიანი: 5 ქალი, 3 მამაკაცი |



ქედის სოფელ შევაბურში “ამხანაგობა სამზიარი” 2016 წელს შეიქმნა. საოჯახო მარანი ცოლიკოურისა და ჩხავერის ღვინის დავარგებითაა დაკავებული. “ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, სამზიარმა შეძლო ვენახის გაშენება, სამნომრიანი საოჯახო სასტუმროს მოწყობა, მარანი თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა და ტურისტებისთვის დასასვენებელი ფანჩატურები და საკემპინგე ადგილები მოაწყო. “ამხანაგობა სამზიარის” პროექტის გამართვამ ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა საკუთარი პროდუქცია უფრო ადვილად გაყიდონ, ხოლო თავად რეგიონი ტურისტულად უფრო მიმზიდველად აქცია.

# WINERY AND GUESTHOUSE SAMZIARI – SHEVABURI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Co-op Samziari |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Shevaburi Village |
| **Project Budget** | 60,000 GEL |
| **EU funding** | 42,000 GEL |
| **Co-financing** | 18,000 GEL |
| **Number of employees** | 8 persons: 5 women, 3 men |

The Samziari winery was established in 2016 and produces Tsolikouri and Chkhaveri wines.

The Keda LEADER project supported Samziari in assembling a vineyard, constructing a guesthouse with 3 rooms, and equipping the winery with modern technology. What makes Samziari unique and special is the addition of a unique recreational patio and camping spaces for tourists, both of which have led to the promotion of tourism in the region and the creation of additional markets for local products. The implementation of the project contributed to the growth of markets for local products and the promotion of tourism in the region.


სამზიარი
Samziari
WINE
KEDI'S TSOLIKAURI
ქედის რაიონში გაშენებულ ცოლიკაურის
შერჩეული საუკეთესო ყურძნისგან.
ამხანაგობა "სამზიარი"
დაბა ქედა, რუსთაველის 24
ALC-12% VOL
VINTAGE 2014







# საოჯახო სასტუმრო და მარანი სოფელი გოგიაშვილები

+995 599 047 789

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ზვიად გოგიაშვილი |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოგიაშვილები |
| პროექტის ბიუჯეტი | 33,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 23,100 ლარი |
| თანადაფინანსება | 9,900 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი: 2 ქალი, 2 მამაკაცი |



ზვიად გოგიაშვილის ოჯახი ტურისტებს საოჯახო სასტუმროსა და ღვინის მარანში ეპატიჟება. სტუმრებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ აჭარული ტრადიციული კულინარიის მასტერკლასებში, დააგემოვნონ და შეიძინონ საოჯახო მარნის ღვინოები. ამას გარდა, გოგიაშვილები ვიზიტორებს საცხენოსნო და ველოტურებს, ჯომარდობას, ლაშქრობას, თევზაობასა და სხვა აქტივობებს სთავაზობენ.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, ოჯახმა ძველი მარანი მოაპირკეთა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა. ასევე, მოაწყო კაფე, ააგო ფანჩატურები და სასტუმროს არსებულ ნომრებს სველი წერტილები დაამატა. ამგვარად, სოფელ გოგიაშვილების მოსახლეობას დამატებითი საშუალება გაუჩნდა სოფლის მეურნეობის ნაწარმის რეალიზაციისთვისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებისათვის.

ბენეფიციარ ზვიად გოგიაშვილის ოჯახს ტურიზმის მიმართულებითაც აქვს პრაქტიკა, ხოლო მეღვინეობა-მევენახეობის ოჯახური გამოცდილება 50 წელს მოითვლის.

# FAMILY GUESTHOUSE AND WINERY GOGIASHVILEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Zviad Gogiashvili |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Gogiashvilebi Village |
| **Project Budget** | 33,000 GEL |
| **EU funding** | 23,100 GEL |
| **Co-financing** | 9,900 GEL |
| **Number of employees** | 4 persons: 2 women, 2 men |

This tourist facility in the village of Gogiashvilebi, Keda Municipality, combines a guesthouse and a winery, giving guests the opportunity to participate in traditional culinary master classes and to sample and buy wine products. The facility offers their guests various types of tours in the territory of Keda Municipality: horseback riding, cycling, rafting, hiking, fishing, and others.

Within the framework of the project, Zviad Gogiashvili’s old winery was decorated and supplied with modern equipment, as was the kitchen. In addition, en-suite bathrooms were added to the existing guest rooms for the comfort of the guests. The project also supported the construction of small patios in different locations. The beneficiary Zviad Gogiashvili’s family has many years of experience in tourism and 50 years of experience in winemaking and viticulture, an integral part of their family business.

The project created an additional opportunity to trade local products and supported tourism growth which will have a positive impact on the economic well-being of the local community.



# ზიპლაინი სოფელი მახუნცეთი

+995 599 79 01 63

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შპს „ჯეტ გრუპი" |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახუნცეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 269,410 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 151,760 ლარი |
| თანადაფინანსება | 117,650 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 14 ადამიანი: 5 ქალი, 9 მამაკაცი |



ექსტრემალური სპორტისა და გასართობების მოყვარულებისთვის სოფელ მახუნცეთის ჩანჩქერის ტერიტორიაზე 512-მეტრიანი ზიპლაინია მოწყობილი. ზიპლაინი საერთა-შორისო სტანდარტების უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებითაა დაპროექტებული. მასზე კვალიფიცირებული პერსონალი და ინჟინრები მუშაობდნენ.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, “ჯეტ გრუპმა” შეძლო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გაუწია ორგანიზება საპროექტო ჯგუფსა და მარკეტინგულ კამპანიას. თანამედროვე სისტე-მებით აღჭურვილი ექსტრემალური ატრაქციონი წლიურად 3000-მდე მომხმარებელს მოიზიდავს, რითაც ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს.

# ZIPLINE - MAKHUNTSETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Jet Group Ltd |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Makhuntseti Village |
| **Project Budget** | 269,410 GEL |
| **EU funding** | 151,760 GEL |
| **Co-financing** | 117,650 GEL |
| **Number of employees** | 14 persons: 5 women, 9 men |

The 512-meter zipline near Makhuntseti village's waterfall is a form of tourism infrastructure created for extreme sports and entertainment enthusiasts that will attract up to 3,000 customers annually.

The zipline is designed to meet international safety standards. Qualified personnel and engineers were hired to work on its construction. The Keda LEADER project supported the entire construction process and the zipline's promotional campaign.

Equipped with modern systems, the extreme sports attraction will have a positive impact in improving the tourism infrastructure of the municipality and will contribute to the development of tourism.



# კარვების ქალაქი „HEAVEN IN THE MOUNTAINS OF KEDA“ ქედა, მთა დიდვაკე

+995 577 225 289

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი” |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, მთა დიდვაკე |
| პროექტის ბიუჯეტი | 109,440 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 65,660 ლარი |
| თანადაფინანსება | 44,780 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 2 ადამიანი |



ქედაში, მთა დიდვაკეზე კარვების ქალაქია გაშენებული. “Heaven in the Mountains of Keda” დასასვენებელი და გასართობი ტურისტული სივრცეა, რომელიც სხვადასხვა სახის ტრენინგის, კონფერენციისა თუ შეხვედრების მასპინძლობისათვის შეიქმნა. აქ 110 პერსონაზე გათვლილი 40 კარვითაა შესაძლებელი სარგებლობა.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ბენეფიციარმა კარვების ქალაქისთვის საჭირო ინვენტარი შეიძინა და დაამონტაჟა, მოაწყო წყლის სისტემა და სველი წერტილები. შეიძინა მზის პანელები და ავტომობილი, ტურისტების მომსახურებისთვის. ამას გარდა, გაკეთდა სივრცეები ბავშვებისათვის, ტრენინგებისთვის, შეხვედრებისა თუ ფილმების ჩვენებისთვის. პროექტი ადგილობრივ ეკო და სამთო ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

# THE CITY OF TENTS - HEAVEN IN THE MOUNTAINS OF KEDA MOUNT DIDVAKE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Keda Tourism Development Center LLC |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Mount Didvake |
| **Project Budget** | 109,440 GEL |
| **EU funding** | 65,660 GEL |
| **Co-financing** | 44,780 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

Heaven in the Mountains of Keda is a campsite in Keda, on Mount Didvake. It is a recreational and entertainment tourist space with 40 tents that can accommodate up to 110 people with a comprehensive infrastructure that is also suitable for training, conferences, and meetings.

The project supported work needed to properly prepare the space, including the building of a water system and bathrooms. The following areas were constructed: a space for children, a training space, a meeting space, and a cinema. The project also supported the purchase and installation of tents and solar panels and a car for tourist services.

The implementation of the project contributed to the development of eco and mountain tourism in the municipality and in the country overall.



+995 595 553 421

# ᲛᲣᲚᲢᲘᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ“ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲔᲜᲬᲛᲐᲜᲘ

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ნათია სურმანიძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ძენწმანი |
| პროექტის ბიუჯეტი | 21,120 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 17,020 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,100 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი |

ქედის სოფელ ძენწმანში ქართველ და უცხოელ სტუმრებს მულტიფუნქციური დასასვენებელი სივრცე “მეგობრობა” მასპინძლობს. ტურისტებს შეუძლიათ ჩაერთონ ღვინის დეგუსტაციებსა და გასტრონომიულ თავგადასავალში, დაათვალიერონ ღვინის ბიბლიოთეკა, ჩაერთონ საგანმანათლებლო, გასართობ და რეკრეაციულ აქტივობებში აუზსა თუ ჩანჩქერზე და საოჯახო გლემფინგ სასტუმროში გაატარონ დრო.

პროექტის ფარგლებში, გაფართოვდა არსებული საოჯახო სასტუმრო და ტურისტული ინოვაციური მომსახურებები დაემატა. აშენდა ტრადიციული სტილის სივრცე მარნისათვის, დეგუსტაციებისა და ღვინის ბიბლიოთეკისათვის. შეიქმნა გლემპინგის ტიპის დასასვენებელი სივრცე. ამას გარდა, მოეწყო ადგილი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი ხელით დაწურული ღვინის ბოთლში ჩამოსხმისა და ბრენდირების საშუალება მიეცა.

# MULTIFUNCTIONAL RECREATIONAL SPACE MEGOBROBA – DZENTSMANI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Natia Surmanidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Dzentsmani Village |
| **Project Budget** | 21,120 GEL |
| **EU funding** | 17,020 GEL |
| **Co-financing** | 4,100 GEL |
| **Number of employees** | 4 persons |

The multifunctional recreational space Megobroba in the village of Dzentsmani, Keda Municipality offers a variety of packages to Georgian and international tourists: accommodation (a guesthouse and a glamping site), wine tastings and other gastronomic services, educational sessions in their wine library, and entertainment and recreational activities (including a pool and waterfall).

The project supported the existing guesthouse through the expansion and creation of additional innovative tourist services. A building with traditional elements was constructed, in which three different spaces were arranged: a wine cellar, a degustation area, and a wine library.

Additionally, the project supported the construction of a glamping-style accommodation space.

The enterprise also set up a service where locals can brand and bottle their own home-made wine.




# ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲣᲜᲪᲔᲗᲘ

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | საინიციატივო ჯგუფი რამინ გოლომანიძის წარმომადგენლობით |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახუნცეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 18,850 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,400 ლარი |
| თანადაფინანსება | 10,450 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 2 ქალი, 3 მამაკაცი |

ექსტრემალური ატრაქციონების მოყვარულებისთვის, სოფელ მახუნცეთში კომპლექსური ტურისტული სერვისი შეიქმნა, რომელიც ექსტრემალური სპორტის ორ სახეობას მოიცავს.

ტურისტული სერვისი “ქედა ლიდერის” მხარდაჭერით არსებული რესურსებისა და ახალი კომპონენტების დამატებით გაუმჯობესდა. განახლდა ზიპლაინის ატრაქციონი და ხის სასეირნო ნავი ტურისტული რეკვიზიტებით დაიტვირთა. მოეწყო ზიპლაინის გამშვები/მიმღები სადგურები და შეიცვალა სასრიალო ინვენტარი (როლერი, შემკვრელები, დამცავი ჩაფხუტები). პროექტმა გზა გაუხსნა ადგილობრივი ეკოტურიზმის პოტენციალის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივ დონეზე დამატებითი ფინანსური რესურსების შემოდინებას.

# EXTREME TOURISM SERVICE MAKHUNTSETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Initiative group represented by Ramin Golomanidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Village Makhuntseti Village |
| **Project Budget** | 18,850 GEL |
| **EU funding** | 8,400 GEL |
| **Co-financing** | 10,450 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 2 women, 3 men |

A multifaceted tourist service was established in the village of Makhuntseti, Keda Municipality that includes a package of tourism attractions with two different types of extreme sports.

The project was aimed at the development of existing resources as well as the incorporation of new entertainment components.

The zipline attraction and wooden boat ride service were improved in order to make them more attractive to tourists: two zipline stations were arranged and the rolling equipment (roller, binders, and helmets) were upgraded.

The implementation of the project facilitated the maximal utilization of ecotourism potential, the creation of new jobs, and the inflow of additional financial resources at the local level.



# სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა ტურისტული და სასწავლო მიზნებისათვის სოფელი პირველი მაისი

+995 593 680 346

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | რევაზ თურმანიძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი მაისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 29,450 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 20,610 ლარი |
| თანადაფინანსება | 8,840 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი |



სოფელ პირველ მაისში მდებარეობს საფუტკრე მეურნეობა, სადაც ფუტკრის ისეთი ძვირადღირებული პროდუქტები მზადდება, როგორიცაა: ფუტკრის რძე, ჭეო, ყვავილის მტვერი, დინდგელი და სხვა. ამას გარდა, მეურნეობა რეკრეაციულ და სადემონსტრაციო-საგანმანათლებლო მომსახურებასაც მისდევს.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, უკვე არსებულ საფუტკრე მეურნეობას ახალი ფუნქციები დაემატა. მოპოვებული დაფინანსებით, მეურნეობის ტერიტორიაზე სარემონტო-ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, მოეწყო ბილიკები და მოსასვენებელი ქოხები, ტურისტული მიზნებისთვის. ტერიტორია საჩვენებელი სკებითა და საგამოფენო სივრცეებით აღიჭურვა, მოეწყო ფუტკრის რძის ასაღები და სასუნთქი ოთახები.

განახლების შედეგად, საფუტკრე მეურნეობა იქცა სადემონსტრაციო, საგანმანათლებლო და რეკრეაციულ სივრცედ, რომელიც ხელს უწყობს აგროტურიზმისა და მეფუტკრეობის დარგის განვითარებას.

# DEMONSTRATIONAL BEEKEEPING FOR TOURISM AND EDUCATIONAL PURPOSES - PIRVELI MAISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Revaz Turmanidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Village Pirveli Maisi |
| **Project Budget** | 29,450 GEL |
| **EU funding** | 20,610 GEL |
| **Co-financing** | 8,840 GEL |
| **Number of employees** | 4 persons |

A beekeeping farm located in the village of Pirveli Maisi, Keda Municipality, produces a range of rare honey products that are in high demand: royal jelly, bee pollen, flower pollen, bee glue (propolis), and others. The farm offers recreational and educational services to those interested in the practice of beekeeping.

The Keda LEADER project supported the beneficiary in adding new features to the existing farm. The territory was renovated, new paths and small pavilions for tours and recreation were added, the area was equipped with beehives and exhibition spaces, and royal jelly collection and inhalation rooms were constructed.

The beekeeping farm has become an educational and recreational space that promotes agro-tourism and beekeeping.









# საოჯახო სასტუმრო მარანი „ვაზის სახლი“ სოფელი დანდალო

+995 591 711 890

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შორენა ტარიელაძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი დანდალო |
| პროექტის ბიუჯეტი | 20,500 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 15,540 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,960 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |



“ვაზის სახლის” საოჯახო სასტუმროს, სოფელ დანდალოში, შორენა ტარიელაძე ოჯახთან ერთად უძღვება. პროექტი მოიცავს სასტუმროსა და მარანს. მარანში 5 სახის ღვინო იწარმოება: ჩხავერი, ციცქა, რქაწითელი, ოჯალეში და ცოლიკოური. ტურისტების განთავსება სასტუმროს 3 ნომერშია შესაძლებელი. სტუმრებს ღვინის დეგუსტაციებში მონაწილეობა და ტრადიციული კულინარიის ნიმუშების გაცნობა შეუძლიათ.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში შორენა ტარიალაძემ თავის 3-სართულიან შენობაში 3 სასტუმრო ნომრისა და მარნის მოწყობა შეძლო. ნომრებში საჭირო ტექნიკა და ავეჯით განათავსა. სასტუმროს გვერდით, აშენდა 2- სართულიანი შენობა, რომლის პირველი სართული ქვევრებს, მეორე კი - ბუხარსა და სავახშმო ადგილს დაეთმო. მოპოვებული დაფინანსებით, გაუმჯობესდა შენობების გარე ინფრასტრუქტურა, ხოლო მარანში შესაბამისი ტექნიკა დამონტაჟდა.

# GUESTHOUSE AND FAMILY CELLAR VAZIS SAKHLI - DANDALO VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Shorena Tarieladze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Dandalo Village |
| **Project Budget** | 20,500 GEL |
| **EU funding** | 15,540 GEL |
| **Co-financing** | 4,960 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

Shorena Tarielidze's guesthouse and winery Vazis Sakhli is located in the village Dandalo, Keda Municipality. The winery produces five types of wine: Chkhaveri, Tsitska, Rkatsiteli, Ojaleshi, and Tsolikouri, all of which are unique, local grape varieties and possess distinguished tastes.

The guesthouse has 3 bedrooms for tourists, who will also have the option of a wine tasting and to be served traditional food.

As part Keda LEADER, 3 rooms and the wine cellar of a 3-story building owned by the beneficiary were renovated. The rooms were equipped with all the necessary items and furniture for the comfort of the guests. A 2-story building was built next to the guest house, the first floor of which was dedicated to Kvevri (underground vessels for winemaking), the second to the fireplace and the dining area. With the provided funding, the external infrastructure of the building was also improved and necessary equipment was installed in the wine cellar.









# ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲔᲗᲜᲝ ᲥᲔᲓᲐ“ ᲓᲐᲑᲐ ᲥᲔᲓᲐ

+995 599 106 116

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | თამარ ბასილაძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 213,050 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 119,900 ლარი |
| თანადაფინანსება | 93,150 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 15 ადამიანი: მათ შორის, 2 შშმ პირი |



ეთნოგრაფიული სასტუმრო კომპლექსი “ეთნო ქედა” ტურისტებს დასვენებასა და ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობას სთავაზობს - დეგუსტაციას, ფოლკლორული შემოქმედების გაცნობას, ღვინის დეგუსტაციასა და ხალხური რეწვის ნიმუშებს. მთლიანად ბუნებრივი ხის მასალით მოწყობილი ეთნოგრაფიული-სასტუმრო კომპლექსი 18 სტუმარს იტევს ერთდროულად. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ, მაღალი ხარისხის მომსახურების გარდა, აჭარის მაღალმთიანეთის ეთნოკულტურასაც გაეცნონ.

პროექტის ფარგლებში სრულად დაიგეგმა, აშენდა და ყველა საჭირო ნივთით აღიჭურვა რესტორანი, საკონფერენციო დარბაზი და ეთნოგრაფიული კუთხე.

სასტუმროს მართავს თამარ ბასილაძე, რომელსაც მრავალმხრივი გამოცდილება აქვს ტურიზმის სექტორში. ეს მას საშუალებას აძლევს, სასტუმრო ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველად და საინტერესოდ აქციოს.

# HOTEL ETHNO KEDA TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Tamar Basiladze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Town of Keda |
| **Project Budget** | 213,050 GEL |
| **EU funding** | 119,900 GEL |
| **Co-financing** | 93,150 GEL |
| **Number of employees** | 15 persons, including 2 with disabilities |

Ethno Keda is an ethnographic hotel complex constructed with eco friendly, sustainably sourced wooden materials that offers tourists the ability to experience local cuisine, folklore, wine, and handicrafts.

The space, which covers an area of 2100 m2, can simultaneously accommodate 18 guests. Tourists are offered high quality services and an opportunity to learn about the culture and ethnography of Ajara's highlands and about the municipality in particular.

Within the framework of the project, a restaurant, a conference hall, and ethnographic corner were designed, planned, built, and equipped with all the necessary items.

Tamar Basiladze, the manager of the hotel, has extensive experience in tourism, which allows her to make the hotel more attractive and interesting for tourists.



# საფეხმავლო და საველოსიპედო გარდამავალი მარშრუტი ქედა-შუახევის მუნიციპალიტეტი

+995 577 115 120

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიჭაური - სოფელი კლდისუბანი - კავიანის ციხე - სოფელი დანდალოს თაღოვანი ხიდი |
| პროექტის ბიუჯეტი | 251,710 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 151,030 ლარი |
| თანადაფინანსება | 101,680 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 2 ქალი |



მაღალმთიან აჭარაში, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებს შორის მდებარე საფეხმავლო დანიშნულების ძველი, თითქმის უფუნქციო ბილიკი იყო, რასაც იქ არსებული მცენარეთა საფარიც მოწმობს. ორი პუნქტის დასაკავშირებლად საფეხმავლო და ველობილიკი მოეწყო. გზა სამ სოფელს გაივლის და ორ მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობას მოიცავს - კავიანის ციხესა და დანდალოს თაღოვან ხიდს. ბილიკს აქვს როგორც სამეცნიერო, ისე ტურისტული, საექსპედიციო და სალაშქრო დატვირთვა.

პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ" გაწმინდა ბილიკი, გრუნტის საფარი და კლდოვანი რელიეფი ველობილიკებს შეუსაბამა. ბილიკი ვიზიტორთა კომფორტისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა ინფრასტრუქტურული საშუალებით აღიჭურვა. პროექტი რეგიონში სათავგადასავლო და ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

# HIKING AND CYCLING ROUTE KEDA AND SHUAKHEVI MUNICIPALITIES

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | NNLE “Tourism Product Development Agency” |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Khichauri Village- Kldisubani Village - Kaviani Fortress - Dandalo Village Arch Bridge |
| **Project Budget** | 251,710 GEL |
| **EU funding** | 151,030 GEL |
| **Co-financing** | 101,680 GEL |
| **Number of employees** | 2 women |

An old hiking path that was overgrown with vegetation was completely reconstructed, once again offering a scenic route between the municipalities of Keda and Shuakhevi in the high mountains of Ajara. A pedestrian and bicycle lane was built that passes through three villages and includes two important sights: Kaviani Castle and the Dandalo Arched Bridge. The trail can be used for a variety of purposes, including scientific expeditions and tourism and hiking opportunities.

Keda LEADER, under the leadership of NNLE Tourism Product Development Agency, supported the cleaning of the path and to have the ground and rocky terrain adapted for mountain biking. The trail was equipped with all the necessary infrastructure for the enjoyment and safety of visitors.

As a result of the project, important steps were taken in the development of adventure and ecotourism in the region.



# „დანდალოს მარანი“ სოფელი დანდალო

+995 599 277 092

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ზურაბ ავალიანი |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი დანდალო |
| პროექტის ბიუჯეტი | 115,500 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 75,080 ლარი |
| თანადაფინანსება | 40,420 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 7 ადამიანი |



სოფელ დანდალოში, “დანდალოს მარნის” კოოპერატივი ცოლიკოურისა და ჩხავერის ღვინოს 2017 წლიდან ავარგებს. ყურძენი კოოპერატივის უფლებამოსილი პირის, ზურაბ ავალიანის მიწაზე გაშენებული ვენახებიდან იკრიფება.

„ქედა ლიდერის“ მხარდაჭერით, „დანდალოს მარანმა“ ავტომატიზებული დანადგარებით, გაფართოება და გადაიარაღება შეძლო. შედეგად, პირველსავე წელს, 40%-ით გაიზრდა წარმოება.

პროექტის ფარგლებში, კოოპერატივმა შეძლო სრული ავტომატიზებული ხაზის შეძენა და განთავსება, გააუმჯობესა საწარმოო ხაზი და საქმიანობის მთლიანი ორგანიზება.

კოოპერატივის წევრებს 15-წლიანი გამოცდილება აქვთ მევენახეობის, საოჯახო მარნისა და მცირე საოჯახო სასტუმროს მართვის მიმართულებით.

# DANDALO WINE CELLAR DANDALO VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Zurab Avaliani |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Dandalo Village |
| **Project Budget** | 115,500 GEL |
| **EU funding** | 75,080 GEL |
| **Co-financing** | 40,420 GEL |
| **Number of employees** | 7 persons |

The cooperative Dandalo’s Winery was founded in 2017 with a focus on high quality wine production. The winery produces Tsolikouri and Chkhaveri wine from a vineyard cultivated on land owned by Zurab Avaliani, a member of the cooperative.

Within the framework of Keda LEADER, Dandalo Winery was expanded and equipped with machinery, as a result of which production increased by 40% in the first year. The project supported the purchase and installation of fully automated machinery and the production line was fully organised and improved.

The members of the cooperative have 15 years of experience in viticulture, running family wineries, and small guesthouse management.



# მერაბ და გიორგი ტაკიძეების ღვინის მარანი სოფელი წონიარისი

+995 579 267 540

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | გიორგი ტაკიძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი წონიარისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 22,500 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 16,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 6,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |



სოფელ წონიარისში, ტაკიძეების ოჯახური მარანი სტუმრებს 2010 წლიდან მასპინძლობს. მერაბ და გიორგი ტაკიძეებს საკუთარი ვენახი პლანტაციის სახით აქვთ გაშენებული, ხოლო მარანში სტუმრებს ღვინის მრავალფეროვანი არჩევანს სთავაზობენ, მათ შორის, ჩხავერს, ალადასტურს, ცოლიკოურს.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, ოჯახმა არსებული საოჯახო ღვინის მარნის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა შეძლო და საწარმოსათვის საჭირო დანადგარები დაამონტაჟა. ტაკიძეების მარანი ადგილობრივი მევენახეობა-მეღვინეობისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

გიორგი ტაკიძე ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა მეღვინეა, რომელიც ამ დარგს ბავშვობიდან კარგად იცნობს. საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულები მისი ოჯახის წევრებიც.

# MERAB AND GIORGI TAKIDZE WINE CELLAR - TSONIARISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Giorgi Takidze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Tsoniarisi Village |
| **Project Budget** | 22,500 GEL |
| **EU funding** | 16,000 GEL |
| **Co-financing** | 6,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

The Merab and Giorgi Takidze winery has been operating since 2010 and offers guests different varieties of wine, including: Chkhaveri, Aladasturi, and Tsolikouri. The Takidzes have their own vineyard plantation.

Keda LEADER supported significant improvements to the family wine cellar and the purchase and installation of modern equipment.

Giorgi Takidze is an outstanding young winemaker who has been involved in this field since his childhood, with the practice having been passed down for generations within his family.

The project promoted the development of viticulture and winemaking and improved the socio-economic situation of the local population.










# საოჯახო სასტუმრო და მარანი სოფელი გეგელიძეები

+995 591 718 916

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | მანანა ბოლქვაძე |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები |
| პროექტის ბიუჯეტი | 24,990 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 19,990 ლარი |
| თანადაფინანსება | 5,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი: 2 ქალი, 2 მამაკაცი |



საოჯახო ტიპის მარანი და სასტუმრო სოფელ გეგელიძეების ტურისტებსა და ადგილობრივ დამსვენებლებს 2006 წლიდან მასპინძლობს. ოჯახს ცოლიკოური, ჩხავერი, ალადასტური, საფერავი, ხოფათურისა და დასაწური ვაზის ენდემური ჯიშის ვენახი აქვს და მათგან ნატურალურ ღვინოს ავარგებს, როგორც ტრადიციულ ქვევრში, ისე კასრში. სტუმრებს მრავალფეროვანი მომსახურება და საინტერესო აქტივობები ელით: საკალმახე, საფუტკრე მეურნეობების დათვალიერება, ჯომარდობაში მონაწილეობის მიღება, საფეხმავლო ტურები, ქართული სამზარეულოს კერძების მომზადება და დაგემოვნება, ქართული ფოლკლორის მოსმენა და სხვა.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში ოჯახმა საოჯახო სასტუმროს საჭირო ინვენტარით მოწყობა შეძლო, აღჭურვა სამზარეულო და ღვინის მარანი.

პროექტის ბენეფიციარი მანანა ბოლქვაძეა. ის ქალ-მეწარმეთა ასოციაციის წევრია და ტურიზმის სექტორში მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მის ოჯახს კი, ღვინის დავარგების 60-წლიანი ტრადიცია აქვს, რაც შესაძლებლობას აძლევს, მაღალ დონეზე უხელმძღვანელოს მეურნეობას.

# GUESTHOUSE AND WINERY GEGELIDZEEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Manana Bolkvadze |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Gegelidzeebi Village |
| **Project Budget** | 24,990 GEL |
| **EU funding** | 19,990 GEL |
| **Co-financing** | 5000 GEL |
| **Number of employees** | 4 persons: 2 women, 2 men |

This family winery and guesthouse has been serving tourists and locals since 2006. The family grows Tsolikouri, Chkhaveri, Aladasturi, Saperavi, Khopaturi, and Satsuri endemic grape varieties and produces their own natural wine. The family winery also has both a traditional kvevri and a barrel wine production line.

In addition to the winery, guests can find a variety of services and interesting activities, such as: visiting trout farms and bee colonies, rafting, hiking tours, the preparation and tasting of Georgian traditional dishes, opportunities to listen to Georgian folklore, and much more.

Within the framework of the project, a family hotel, a kitchen, and a wine cellar were improved and equipped with the necessary items.

The project beneficiary Manana Bolkvadze is a member of the Association of Women Entrepreneurs. In addition to their many years of experience in tourism, her family has been engaged in wine production for more than 60 years, which gives her the necessary knowledge to continue to run the business successfully.



# საოჯახო მარანი „აჩი 10“ სოფელი კორომხეთი

+995 595 084 331

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | „ამხანაგობა აჩი 10“ |
| სექტორი | ტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორომხეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 33,500 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 23,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 10,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 3 მამაკაცი, 2 ქალი |



სოფელ კორომხეთში, საოჯახო მარნის სტუმრებს ტრადიციული კერძებითა და ღვინით უმასპინძლდებიან. დასასვენებელი სივრცე ქირავდება, როგორც ნაწილობრივ, ისე მთლიანად. ამას გარდა, საოჯახო მარნის ძირითადი საქმიანობა ღვინის დავარგებაა. მთლიანი პროცესი - ყურძნის გადამუშავება, ღვინის დავარგება, ბოთლებში ჩამოსხმა, ეტიკეტირება და რეალიზება ადგილზევე ხდება, ტურისტებში, ადგილობრივებსა თუ რესტორნებსა და მაღაზიებში. მარანმა, პირველსავე წელს, 3000-მდე ბოთლი ღვინო ჩამოასხა. სამომავლოდ, წარმოების გაზრდა იგეგმება.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ღვინის წარმოებისთვის საჭირო დანადგარებით აღჭურვილი მცირე საწარმო-მარანი გაკეთდა. საოჯახო სასტუმრო თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა, აშენდა ტურისტების მოსასვენებელი ფანჩატურიც. პროექტი მევენახეობა-მეღვინეობის დარგის პოპულარიზაციას, ხარისხის დახვეწასა და სოფლად ტურიზმის განვითარებას ემსახურება. პროექტის ბენეფიციარს „ამხანაგობა აჩი 10“ საოჯახო სასტუმრო 2017 წლიდან აქვს და ერთდროულად, 60-მდე ვიზიტორს იტევს. საოჯახო მარანი 2005 წლიდან აწარმოებს ღვინოსა და არაყს, რომლისთვისაც 2500კვ.მ-ზე გაშენებული 3 სახეობის ვაზი გამოიყენება.

# FAMILY WINERY AND COTTAGE ACHI 10 - KOROMKHETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Co-op Achi 10 |
| **Sector** | Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Koromkheti Village |
| **Project Budget** | 33,500 GEL |
| **EU funding** | 23,500 GEL |
| **Co-financing** | 10,500 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 2 women, 3 men |

This holiday house, built in the village Koromkheti, Keda Municipality, offers tourists the opportunity to taste local wine and traditional dishes.

The house can be rented out in full by the guest and has a functioning wine cellar and wine producing facilities. Guests stay in the same house where grapes are processed, where the wine is bottled in 750 ml bottles, aged, labeled and sold - mainly to tourists, but to locals and restaurants as well. Up to 3,000 bottles were bottled in the winery in its first year and the family plans to increase the number in the coming years. Through Keda LEADER, this small enterprise-winery was supplied with the necessary material for continued wine production. The family hotel was also provided with modern equipment and a tourist patio was built and decorated. The project contributed to the improvement and promotion of the practice of viticulture and winemaking, as well as to the development of rural tourism.

The beneficiary of the project, Co-op Achi 10, has had a family hotel since 2017 that serves up to 60 visitors. It also owns 3 types of vineyards cultivated on a 2500 m2 plot of land from which they have been producing wine and spirits since 2005.









# რესტორანი „დავითი“ სოფელი ქვედა ბზუბზუ

+995 557 270 489

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | დავით ღოღობერიძე |
| სექტორი | ტურიზმი / გასტროტურიზმი |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ბზუბზუ |
| პროექტის ბიუჯეტი | 61,340 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 42,940 ლარი |
| თანადაფინანსება | 18,400 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 6 ადამიანი: 5 ქალი, 1 კაცი |



ბზუბზუს ჩანჩქერთან ახლოს, ბათუმის მაგისტრალიდან 500 მეტრში, რესტორანი “დავითი” სტუმრებს ტრადიციული აჭარული კერძებით უმასპინძლდება. ობიექტი მუდმივად მარაგდება ადგილობრივი ეკოპროდუქტებითა და ნატურალური ღვინით. რესტორანს ერთდროულად 30-40 ვიზიტორის მასპინძლობა შეუძლია. სამომავლოდ, მაჭახელას ხეობისა და მტირალას ეროვნული პარკის დამაკავშირებელი გზა რესტორანთან ახლოს გაივლის, რაც მის სტუმართა რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის.

რესტორნის მფლობელს, დავით ღოღობერიძეს სტუმრებისთვის კერძებისა და ადგილობრივი კულტურის ეფექტურად წარდგენაში ქორეოგრაფიასა და რეჟისურაში დაგროვილი გამოცდილება ეხმარება. ის აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი ტურიზმის განვითარების საკითხებში - დავით ღოღობერიძის ინიციატივით, ქედის მერიამ მახუნცეთის ჩანჩქერის მიმართულებით ტურისტული ბილიკი გაიყვანა.

# RESTAURANT DAVIT KVEDA BZUBZU VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Davit Ghoghoberidze |
| **Sector** | Tourism / Gastro-Tourism |
| **Location** | Keda Municipality, Kveda Bzubzu Village |
| **Project Budget** | 61,340 GEL |
| **EU funding** | 42,940 GEL |
| **Co-financing** | 18,400 GEL |
| **Number of employees** | 6 persons: 5 women, 1 man |

Close to the Bzubzu Waterfall and 500 meters from the Batumi Highway, Restaurant Davit hosts visitors by providing them with traditional Adjarian dishes. The restaurant uses organic products and wine harvested by the locals. The restaurant can accommodate up to 30-40 people.

In the future, the road connecting the Machakhela Valley to Mtirala park will pass the restaurant, which will significantly increase the number of visitors.

Davit Ghoghoberidze's experience as a choreographer and a director helps him to introduce guests of the restaurant to local culture. He is also actively involved in tourism development; at his initiative, Keda City Hall built a tourist trail to the Makhuntseti Waterfall.



# სოფლის მეურნეობა

## AGRICULTURE

ქედის მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, ამიტომ აღნიშნული დარგის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.
ქედა ინტენსიური მევენახეობით ხასიათდება. ადგილობრივ მეღვინეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯიშები: ქედის ცოლიკოური და ჩხავერი. საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტში ვენახებს 200 ჰა ფართობი უჭირავს.

რეგიონის ბუნებრივი გარემო იდეალურ პირობებს ქმნის მეფუტკრეობისთვისაც. ეს დარგი განსაკუთრებით აქტიურადაა განვითარებული ქედის მუნიციპალიტეტში. აქ, სტატისტიკის მიხედვით, ფუტკრის ოჯახების რიცხვი 4,762 შეადგენს, რაც 293 მცირე და საშუალო ზომის მეურნეობაშია გადანაწილებული.

სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო აქტივობებია: მემცენარეობა, მეფრინველეობა, მრავალწლიანი მცენარეების კულტურები და სასათბურე მეურნეობა.
ტერიტორიის მდიდარი ჰიდროენერგეტიკისა და შესაფერისი კლიმატის გამო, ქედაში პოპულარულია აკვაკულტურაც.

პროექტი „ქედა ლიდერი" სხვადასხვა საქონლისათვის ღირებულების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობას ემსახურება. მათი აქტუალურობისა და მაღალი პოტენციალის გამო, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტად დასახელდა მევენახეობა, აკვაკულტურა და მეფუტკრეობა. შესაბამისად, პროექტის ფარგლებშიც, ზემოხსენებულ მიმართულებებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

80% of the population of Keda is involved in agriculture, making the development of this sector a crucial goal for the municipality.

Keda is notable for its unique vine varieties. Local vines, Keda Tsolikouri and Chkhaveri in particular, are in high demand. Vineyards account for 200 hectares of land within the municipality.

The region's environmental characteristics are also ideal conditions for bee-keeping, making it a popular activity in the region. This field is particularly well-developed in Keda, where, according to the statistics, there are around 4,762 bee colonies in the municipality divided between 293 small and medium scale farmers.

Aquaculture is also popular due to the area's rich hydro-power and suitable climate.

Other agricultural activities include vegetable farming, poultry farming, perennial crops, and greenhouse farming, among others.

The Keda LEADER project worked to support the development of the value chains of different commodities. Due to their relevance and high potential, vineyards, aquaculture, and beekeeping were identified as priority commodities in the local development strategy and thus within the project the aforementioned commodities were accorded particular support.



# „ვაზი და ვაზის ცრემლები“ სოფელი ზენდიდი

+995 591 809 534

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | დავით დიასამიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენდიდი |
| პროექტის ბიუჯეტი | 51,600 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 35,420 ლარი |
| თანადაფინანსება | 16,180 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი; 2 ქალი, 3 მამაკაცი |

სოფელ ზენდიდში, დავით დიასამიძე, 1500კვ.მ-ზე გაშენებული 540 ძირი ვაზიდან ცოლიკოურის 5 ტონამდე ღვინოს აწარმოებს. დავარგების პროცესში ჩართულები არიან ტექნოლოგები და ღვინოს ლაბორატორიულად ამოწმებენ. წარმოება ხარისხზეა ორიენტირებული, რაც ადგილობრივ ბაზარზე - რესტორნებსა და ტურისტულ ობიექტებში, მისი ღვინის რეალიზაციის ზრდას უწყობს ხელს.

პროექტის ფარგლებში, დავით დიასამიძემ ვენახის ინფრასტრუქტურის მოწყობა შეძლო, დაამონტაჟა წვეთოვანი სისტემა, ხის ძველი ბოძები რკინა-ბეტონით ჩაანაცვლა, მოაწესრიგა მარანი და აღჭურვა სხვადასხვა საჭირო დანადგარით - უჟანგავი ფოლადის ავზებით, კლერტსაცლელით, ფილტრით, სითხის ტუმბოთი.

დავით დიასამიძე პროფესიით აგრონომია და ოჯახთან ერთად, უკვე 10 წელია ჩართულია მევენახეობაში. არსებული მეურნეობის განვითარებითა და ნატურალური ღვინის დაყენების ტექნოლოგიის წესების სრული დაცვით, დავით დიასამიძე მაღალი ხარისხისა და დახვეწილი გემოვნური თვისებების ღვინოს აწარმოებს.

# VAZI DA VAZIS TSREMLEBI - ZENDIDI VILLAGE (VINE AND VINE TEARS)

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Davit Diasamidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Zendidi Village |
| **Project Budget** | 51,600 GEL |
| **EU funding** | 35,420 GEL |
| **Co-financing** | 16,180 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 2 women, 3 men |

Davit Diasamidze produces up to 5 tons of Tsolikouri grapes from the 540 vine roots he cultivates on his 1,500 m2 of land. The enterprise regularly works with wine technicians during the production process in order to achieve a high quality product and his wine is also regularly sent for laboratory testing. Davit Diasamidze is a quality-oriented producer, which helps the enterprise to expand the sale of wine on the local markets, including to restaurants and tourist facilities. Through the project, the infrastructure of Davit Diasamidze's vineyard was renovated, an irrigation system was installed, old poles were replaced with locally produced concrete ones, and the wine cellar was renovated and equipped with a range of items such as stainless steel tanks, a de-stemmer, a filter, and a liquid pump.

Davit Diasamidze is an agronomist by profession and has been involved in viticulture with his family for 10 years. Through the development of the existing infrastructure and the full compliance with the rules of natural wine making technology, Davit Diasamidze is able to produce wine of high quality and a refined taste.



# „ᲑᲔᲠᲗᲕᲔᲜᲐᲮᲘ“ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲝᲠᲪᲕᲐ

+995 577 173 706

| | |
|---|---|
| **ბენეფიციარი** | გიორგი აბულაძე |
| **სექტორი** | აგროტურიზმი / სოფლის მეურნეობა |
| **ადგილმდებარეობა** | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორცვა |
| **პროექტის ბიუჯეტი** | 180,000 ლარი |
| **ევროკავშირის დაფინანსება** | 117,000 ლარი |
| **თანადაფინანსება** | 63,000 ლარი |
| **დასაქმებულთა რიცხვი** | 6 ადამიანი: 4 ქალი, 2 მამაკაცი |



სოფელ ორცვაში მდებარე „ბერთვენახი“, ღვინის წარმოების გარდა, ტურისტებისა და ადგილობრივ მევენახეებსაც მასპინძლობს. ტურისტებისათვის გამოყოფილია მუხის კასრის ფორმის ორი კოტეჯი, რომლებიც თემატურად ჯდება კონცეფციაში და გარემოს მიმზიდველს ხდის. “ბერთვენახი”, წლიურად, 10 000-12 000 ბოთლ ღვინოს აწარმოებს. ადგილზე მოწყობილი ღვინის ლაბორატორია კი, სხვა მევენახეებსაც აძლევს საკუთარი ღვინის ხარისხის შემოწმების საშუალებას. ამას გარდა, სპეციალურად მოწყობილ სადეგუსტაციო და საკონფერენციო სივრცეში, მევენახეებს ვაზის მოვლისა და ღვინის წარმოების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ.

პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარმა გიორგი აბულაძემ საკუთარ მიწის ნაკვეთზე ვენახი, მარანი, მინილაბორატორია და სადეგუსტაციო სივრცე ააშენა, აღჭურვა ორი კოტეჯი, მოაწყო ღვინის სახლის მიმდებარე ტერიტორია და გააშენა სადემონსტრაციო ვენახი, სადაც ჩხავერის, ნეკრენჩხისა და დასაწური ჯიშის ვაზი დარგო.

გიორგი აბულაძესა და მის პარტნიორებს ვაზის მოვლასა და ღვინის წარმოებაში მრავალწლიანი პროფესიონალური გამოცდილება აქვთ, რაც მაღალი ხარისხის ღვინის დავარგების შესაძლებლობას აძლევთ.

# BERTVENAKHI - ORTSVA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Giorgi Abuladze |
| **Sector** | Agrotourism / Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Ortsva Village |
| **Project Budget** | 180,000 GEL |
| **EU funding** | 117,000 GEL |
| **Co-financing** | 63,000 GEL |
| **Number of employees** | 6 persons: 4 women, 2 men |

Bertvenakhi, based in the village of Ortsva, is a winery for both local wine-makers and tourists. Tourists can enjoy their stay in two oak barrel-shaped cottages, which fit the theme of the location and help to create an attractive environment for guests.

The enterprise produces 10,000-12,000 bottles of wine every year. The wine laboratory, which is also located on the premises, allows other winemakers to check the quality of their wine. The complex also includes a degustation and conference space for tourists and local winemakers where they can receive the latest information regarding vine and wine production.

Within the framework of the project, the land, a wine cellar, a mini-laboratory, and a wine tasting space owned by Giorgi Abuladze were renovated. Two cottages were constructed and fully equipped, the area around the winery was improved, and a vineyard for demonstrative purposes was arranged. Additionally, Chkhaveri, Nekrenchkhi, and Datsatsuri vines were planted.

Giorgi Abuladze and his partners have many years of professional experience growing grapes and producing wine, which allows them to produce a high quality product.



# ცოლიკოურის ჯიშის ვაზი სოფელი ოქტომბერი

+995 595 958 255

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ანზორ ბასილაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოქტომბერი |
| პროექტის ბიუჯეტი | 6,110 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 5,040 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,070 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი: 2 ქალი, 2 კაცი |

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარმა ანზორ ბასილაძემ საკუთარ 1500კვ.მ მიწის ნაკვეთზე ცოლიკოურის ჯიშის 250 ძირი ვაზი დარგო. პროექტის მხარდაჭერით, მან შეძლო დამხმარე მასალების შესყიდვა-ტრანსპორტირება და მონტაჟი, შეიძინა ნერგები და გამართა ვენახი.

სამომავლოდ, ანზორ ბასილაძე ყურძნის სხვადასხვა ჯიშების კულტივირებას და შემდეგ, ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებას გეგმავს. ყურძნის ნაწილს კი, ღვინის ადგილობრივ ქარხნებში ჩააბარებს.

# VITICULTURE TSOLIKOURI VINEYARD OKTOMBERI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Anzor Basiladze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Oktomberi Village |
| **Project Budget** | 6,110 GEL |
| **EU funding** | 5,040 GEL |
| **Co-financing** | 1,070 GEL |
| **Number of employees** | 4 persons: 2 women, 2 men |

Within the framework of the project, 250 Tsolikouri vine roots were planted on a 1,500 m2 sector of land owned by Anzor Basiladze. Auxiliary materials were also purchased, transported, and installed, vine seedlings were purchased, and a vineyard was fully set up.

In the future, Anzor Basiladze plans to produce more varieties of grapes, which will be sold on the local market and local wineries.



+995 599 929 240

# ჩხავერის ვენახი სოფელი მილისი

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ანზორ გვარიშვილი |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მილისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 9,970 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,470 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | მუდმივად: 3 ადამიანი; სეზონურად: 4 ადამიანი |



სოფელ მილისში, ანზორ გვარიშვილმა საკუთარ 0.25ჰა ნაკვეთზე ჩხავერის ჯიშის 361 ძირი ვაზი გააშენა. მისგან დაწურული ღვინო მაღალი ხარისხითა და გემოვნური თვისებებით გამოირჩევა.

“ქედა ლიდერის” პროექტის დახმარებით, მევენახემ, პირველ ეტაპზე, 2-2,5 ტონა ჩხავერის ყურძნის მიღება შეძლო. მისგან დაწურული ღვინო ქალაქ ბათუმის რესტორნებში გაიყიდა. მოსავლის დანარჩენი კი - ადგილობრივ ბაზარზე განაწილდა. პროექტმა ხელი შეუწყო მევენახეობის პოპულარიზაციასა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

პროექტის ბენეფიციარი, ანზორ გვარიშვილი გამოცდილი ფერმერი, მეღვინე და მცირე მეწარმეა. აქვს საკუთარი ვენახი, მარანი და ხეხილი.

# CHKHAVERI VINEYARD MILISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Anzor Gvarishvili |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Milisi Village |
| **Project Budget** | 9,970 GEL |
| **EU funding** | 8,470 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | permanent employees: 3 persons;<br>seasonal employees: 4 persons |

In Milisi, Anzor Gvarishvili planted 361 Chkhaveri vine seedlings on 0.25 hectares of agricultural land. Anzor Gvarishvili's Chkhaveri wine is distinguished by its high quality and taste.

After the first harvest, between 2-2.5 tons of Chkhaveri grapes were produced. Large portions of the wine produced is sold to Batumi restaurants and the rest of the product is sold at the local markets. The project contributed to the popularization of viticulture and the production of high-quality wine.

Anzor Gvarishvili is an experienced farmer, winemaker, and an entrepreneur; he has his own vineyard, winery, and fruit plantation.



# ამირან დუმბაძის ვენახი სოფელი გეგელიძეები

+995 593 319 151

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ამირან დუმბაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები |
| პროექტის ბიუჯეტი | 9,990 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,490 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



პროექტის ბენეფიციარმა ამირან დუმბაძემ სოფელ გეგელიძეებში, 1900 კვ.მ-ის მიწის ფართობზე, ცოლიკოურის ჯიშის ვაზი გააშენა.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, მან დამატებით 350 ძირი ცოლიკოური დარგო და ვენახის მოსავლელად საჭირო ინვენტარი შეიძინა, მათ შორის: ბოძები, კულტივატორი, სარწყავი სისტემა და შესაწამლი აპარატი.

ამირან დუმბაძეს ვაზის მოვლის 30-წლიანი გამოცდილება აქვს. მას ყოველწლიურად 2-2,5 ტონა ყურძენი მოჰყავს. გარდა ვენახისა, ამირან დუმბაძეს საოჯახო მარანიც აქვს და სტუმრებს ცოლიკოურის ღვინით უმასპინძლდება.

# AMIRAN DUMBADZE’S VINEYARD GEGELIDZEEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Amiran Dumbadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Gegelidzeebi Village |
| **Project Budget** | 9,990 GEL |
| **EU funding** | 8,490 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

The project beneficiary, Amiran Dumbadze, planted Tsolikouri vines on his 1,900 m2 piece of agricultural land in the village of Gegelidzeebi.

Through the project he was able to plant an additional 350 seedlings of Tsolikouri on his existing vineyard and to purchase all the items needed for the vineyard, including: poles, a cultivator, an irrigation system, and insecticide spray.

The beneficiary of the project has 30 years of experience in vine care and grows between 2-2.5 tons of grapes annually.

In addition to the vineyard, Amiran Dumbadze also has a wine cellar, where he hosts guests and offers them samples of his Tsolikouri wine.



+995 593 411 414

# ჩხავერის ბაღი სოფელი აქუცა

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | გურამ ლომინაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი აქუცა |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



„ქედა ლიდერის“ მხარდაჭერით, ბენეფიციარმა გურამ ლომინაძემ 2000კვ.მ-ზე გააშენა ჩხავერის ჯიშის ვაზის 250 ძირი, რომელიც წვეთოვანი მორწყვის სისტემითაა უზრუნველყოფილი. ვაზის გაშენებამდე საფუძვლიანად გამოიკვლიეს ნიადაგის სტრუქტურა და მოსავლიანობის გასაზრდელად, შესაბამისი სასუქით გაამდიდრეს. შემდეგი ეტაპი იყო კულტივირება-დაპლანტაჟება და ვენახისათვის საჭირო სხვადასხვა სამუშაო ინვენტარის შეძენა.

გურამ ლომინაძეს მევენახეობის დარგში 40-წლიანი გამოცდილება აქვს, რაც მას მეურნეობის ეფექტიანად მართვის შესაძლებ-ლობას აძლევს.

# CHKHAVERI GARDEN AKUTSA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Guram Lominadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Akutsa Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

With the funds awarded by the Keda LEADER project, Guram Lominadze planted 250 Chkhaveri vine seedlings on 2,000 m2 of land accompanied by an irrigation system.

Before planting the vines, the soil quality was studied and enriched with the appropriate fertilizers needed for increased production. Subsequently, the project also supported the purchase of tools and equipment needed for the initial construction, the cultivation process, and the maintenance of the vineyard.

Guram Lominadze has 40 years of experience in the field of viticulture, which puts him in an ideal position to develop his production line.



# ᲩᲮᲐᲕᲔᲠᲘᲡ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲣᲜᲪᲔᲗᲘ

+995 577 592 413

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | მამუკა თავდგირიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახუნცეთი |
| პროექტის ბიუჯეტი | 8,180 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 6,720 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,460 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი: 1 ქალი, 3 კაცი; მათ შორის, 1 შშმ პირი |



„ქედა ლიდერის" მხარდაჭერით, მამუკა თავდგირიძემ, სოფელ მახუნცეთში, ჩხავერის 350-მდეძირიგააშენა,რომელიცსრულმოსავლიანობის მიღწევის შემდეგ, 5 ტონამდე მოსავალს იძლევა. პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ სავაჭრო მარკეტებში, ღვინის ქარხნებში, ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებში მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, მევენახემ ვაზის ძირების შეძენა და დარგვა შეძლო. მეურნეობა კი, ვენახის მოვლისათვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკური რესურსით მოამარაგა.

მამუკა თავდგირიძეს საკუთარ საოჯახო მეურნეობაში დიდი ხანია მოჰყავს ჩხავერის ჯიშის ვაზი, ავარგებს ღვინოს და სხვადასხვა ტიპის პროდუქტს. ის გარკვეულია ვენახის მოვლის ტექნოლოგიაში, რაც საშუალებას აძლევს, გააფართოვოს საკუთარი მეურნეობა, გაზარდოს ვაზის ნარგავების გაშენების არეალი და სოფელში მევენახეობა განავითაროს.

# CULTIVATION OF CHKHAVERI VINEYARD - MAKHUNTSETI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Mamuka Tavdgiridze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality,  Makhuntseti Village |
| **Project Budget** | 8,180 GEL |
| **EU funding** | 6,720 GEL |
| **Co-financing** | 1,460 GEL |
| **Number of employees** | 4 persons: 1 woman and 3 men, including one person with disabilities |

Within the Keda Leader project, 350 roots of Chkhaveri wine were planted on land owned by Mamuka Tavdgiridze in the village of Makhuntseti. After reaching full maturity the vineyard will yield up to 5 tons of grapes. Currently the wine is sold at local markets, shops, wine factories, and local households, and to tourists.

The project funded the purchase of vine seedlings and supported the planting process. The farm was also supplied with various types of machinery that were necessary for the maintenance of the vineyard.

Mamuka Tavdgiridze has been growing Chkhaveri grapes on his family farm and producing wine and other products for many years. His considerable knowledge and expertise are allowing him to develop his business, expand the area of vine plantations, and to contribute to the development of viticulture in the village.



+995 577 304 081

# ᲩᲮᲐᲕᲔᲠᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲝᲠᲪᲕᲐ

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | რემზი თურმანიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორცვა |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი |

მევენახე რემზი თურმანიძეს, სოფელ ორცვაში, საკუთარ 1500კვ.მ მიწაზე ჩხავერის 600კგ მოსავალს იღებდა. "ქედა ლიდერის" პროექტის შედეგად, ვენახის მოსავალი 1 ტონას აღწევს და მისით უმეტესად, შემსყიდველები ინტერესდებიან.

პროექტის მხარდაჭერით, ბენეფიციარმა შეძლო ნაკვეთის შემოღობვა, მიწის დამუშავება და შესაბამისი სასუქებით განოყიერება. შეიძინა და დარგო ვაზის ნერგები, დაამონტაჟა სარწყავი სისტემა და ვენახში რკინა-ბეტონის ბოძები გამართა. რემზი თურმანიძის ვენახის გაფართოებამ ქედაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას შეუწყო ხელი.

რემზი თურმანიძეს ვენახის მოვლის 35-წლიანი გამოცდილება აქვს. მეურნეობის განვითარებით მან შეძლო შემოსავლის ზრდა და ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ათვისება.

# CHKHAVERI VINEYARD ORTSVA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Remzi Turmanidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Ortsva Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 5 persons |

Keda LEADER supported the planting of Chkhaveri vines on a 1,500 m2 plot of land owned by Remzi Turmanidze, which contributed to the development of the regional value chain of agricultural products.

Before the implementation of the project, Remzi Turmanidze harvested 600 kg of grapes annually, whereas the yields of the new vineyard come to approximately 1 ton, which will be sold through buyers.

Remzi Turmanidze has 35 years of experience in viticulture. The development of his production line resulted in both income growth and the further utilisation of local economic potential.



# ᲪᲝᲚᲘᲙᲝᲣᲠᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ

+995 577 933 998

| | |
|---|---|
| **ბენეფიციარი** | სელმან ბერიძე |
| **სექტორი** | სოფლის მეურნეობა |
| **ადგილმდებარეობა** | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოსიაშვილები |
| **პროექტის ბიუჯეტი** | 5,000 ლარი |
| **ევროკავშირის დაფინანსება** | 4,250 ლარი |
| **თანადაფინანსება** | 750 ლარი |
| **დასაქმებულთა რიცხვი** | 2 ადამიანი |



სოფელ მოსიაშვილებში, სელმან ბერიძემ საკუთარ მიწაზე, 1000კვ.მ-ზე ცოლიკოურის ჯიშის ვენახი გააშენა. პროექტის ფარგლებში, მევენახემ ვენახის გამართვისათვის საჭირო ყველა სამუშაოს ჩატარება შეძლო. ამ დროისთვის, სელმან ბერიძეს ვენახის სრული მოსავლიანობის პირობებში, დაახლოებით 3000კგ-მდე ყურძენი მოჰყავს, რომელსაც ადგილობრივ ბაზარზე ყიდის.

ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტს განსაკუთრებით ბევრი ტურისტი სტუმრობს, თუმცა მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ღვინო ვერ იწარმოება, ვაზის მცირე ფართობზე გაშენების გამო. პროექტმა სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებასა და ბაზარზე ღვინის მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეუწყო ხელი.

# TSOLIKOURI VINEYARD MOSIASHVILEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Selman Beridze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Mosiashvilebi Village |
| **Project Budget** | 5,000 GEL |
| **EU funding** | 4,250 GEL |
| **Co-financing** | 750 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

The project funded a Tsolikouri vineyard which was assembled on a 1,000 m$^2$ plot of land owned by Selman Beridze in the village of Mosiashvilebi. All the necessary work for the construction of the vineyard was carried out as a result of the project.

During a full harvest, the vineyard produces up to 3,000 kg of grapes, which are then sold primarily on the local market.

Over the recent years, the municipality has seen an increase in the number of tourists but, due a lack of cultivated land in the municipality, demands for wine have not been fully met. The project contributed to the increased utilisation of agricultural land and helped to meet the demands of the local market.



# ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲝᲠᲪᲕᲐᲨᲘ

+995 558 741 223

| | |
|---|---|
| **ბენეფიციარი** | სულხან აბულაძე |
| **სექტორი** | სოფლის მეურნეობა |
| **ადგილმდებარეობა** | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორცვა |
| **პროექტის ბიუჯეტი** | 18,500 ლარი |
| **ევროკავშირის დაფინანსება** | 14,800 ლარი |
| **თანადაფინანსება** | 3,700 ლარი |
| **დასაქმებულთა რიცხვი** | 2 ადამიანი |



სულხან აბულაძემ კუთვნილ 5000კვ.მ მიწის ნაკვეთზე 625 ძირი ჩხავერის ჯიშის სამრეწველო ვენახი გააშენა. სრულმოსავლიანობის მიღწევის შემდეგ ყოველწლიურად, დაახლოებით, 6 ტონა ყურძენი მიიღება, რომლის რეალიზაცია ადგილობრივ ქარხნებსა და მცირე მარნებში იქნება შესაძლებელი.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, მიწის ნაკვეთზე გაშენებული სიმინდის კულტურა სამრეწველო ვენახით ჩანაცვლდა. ნაკვეთი ვენახის ბოძებით, დამცავი ღობითა და სარწყავი სისტემით აღიჭურვა. ვენახს, გარდა სამრეწველო დანიშნულებისა, სადემონსტრაციო ფუნქციაც აქვს, რაც სხვა, დაინტერესებული, მოქმედი თუ მომავალი მევენახეებისთვის პრაქტიკის გაზიარებას გულისხმობს.

# VITICULTURE - ORTSVA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Sulkhan Abuladze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Ortsva Village |
| **Project Budget** | 18,500 GEL |
| **EU funding** | 14,800 GEL |
| **Co-financing** | 3,700 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

On a 5,000 m2 plot of land owned by Sulkhan Abuladze, 625 Chkhaveri seedlings were planted for industrial purposes. After reaching full maturity, about 6 tons of grapes will be harvested annually and will be sold in local factories and small wineries.

Keda LEADER supported the replacement of an existing corn crop with the new vines. In addition to its use for the production of wine, the land also has a demonstration site where participants share practices with other viticulturists or those interested in taking up the profession. This area was equipped with vineyard poles, a protective fence, and an irrigation system.

Overall, the project significantly contributed to the development of the viticulture sector.



# ჩხავერის ვენახი სოფელი კვაშტა

+995 577 304 089

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | თენგიზ გათენაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | სოფელი კვაშტა, ქედის მუნიციპალიტეტი |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 2,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



სოფელ კვაშტაში, თენგიზ გათენაძე 6 ტონამდე ყურძენს აწარმოებს, რომელსაც ადგილობრივი ქარხანა და მომხმარებლები ყიდულობენ.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარმა უნიკალური ჯიშის ჩხავერის გაშენება შეძლო, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა და ტურისტებისთვისაც მიმზიდველია. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, თენგიზ გათენაძემ ჩხავერის 300-მდე ძირი გააშენა, რამაც ქედაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

თენგიზ გათენაძე მრავალი წელია ჩართულია სოფლის მეურნეობასა და მეღვინეობაში. ის კარგად ერკვევა ვენახის მოვლასა და დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებში.

# CHKHAVERI VINEYARD KVASHTA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Tengiz Gatenadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda municipality, Kvashta Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,000 GEL |
| **Co-financing** | 2,000 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

Through the project a vineyard of a unique Chkhaveri grape variety was constructed. This variety of grape has healing properties and is becoming increasingly appealing to tourists. Up to 300 Chkhaveri seedlings were planted using modern technologies, which contributed to the development of the regional value chain of agricultural products and strengthened the tourist infrastructure.

Tengiz Gatenadze produces up to 6 tons of grapes annually and sells them to local factories and consumers. Gatenadze has been involved in agriculture for many years, making wine from unique grape varieties; he is particularly knowledgeable when it comes to vineyard maintenance and methods of controlling agricultural diseases.



# მევენახეობის განვითარება სოფელი ინაშარიძეები

+995 599 851 311

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | როლანდ წითელაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინაშარიძეები |
| პროექტის ბიუჯეტი | 2,950 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 2,510 ლარი |
| თანადაფინანსება | 440 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |

სოფელ ინაშარიძეებში, როლანდ წითელაძემ ჩხავერის ვენახი გააშენა 500კვ.მ-ზე. მიწის ნაკვეთზე ყველა საჭირო სამიწათმოქმედო და ინფრასტრუქტურული სამუშაო ჩატარდა. ვენახი სათანადოდ აღიჭურვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით, რკინა-ბეტონის ბოძებით, მავთულით და კაპიტალურად შემოიღობა მიწის ნაკვეთის პერიმეტრი.

ვენახი პროექტის დაწყებიდან 3-4 წლის შემდეგ გახდება სრულმოსავლიანი. მაღალი ხარისხის ჩხავერის ყურძნის გარკვეული ნაწილის რეალიზაცია ადგილობრივ ღვინის ქარხნებშია გამიზნული, ხოლო დანარჩენით ბენეფიციარი ღვინოს დაავარგებს და სხვადასხვა რესტორანსა თუ კვების ობიექტებში გაყიდის.

როლანდ წითელაძესა და მის ოჯახს მეღვინეობა-მევენახეობაში საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. წლების განმავლობაში, ოჯახს საკუთარ ნაკვეთში მცირე რაოდენობით მოჰყავს ოთხი სხვადასხვა ჯიშის ვაზი და ავარგებს ღვინოს.

# DEVELOPMENT OF VITICULTURE INASHARIDZEEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Roland Tsiteladze |
| **Sector** | Rural Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Village Inasharidzeebi |
| **Project Budget** | 2,950 GEL |
| **EU funding** | 2,510 GEL |
| **Co-financing** | 440 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

Within the project, a Chkhaveri vineyard was planted on a 500 m2 plot of land owned by Roland Tsiteladze. All the necessary agricultural and infrastructural work for the land was carried out as a component of the project. The vineyard was fully equipped with a drip irrigation system, concrete poles, wires, and the perimeter of the land was fenced in.

The vineyard will become fully mature in 3-4 years. A portion of the high quality Chkhaveri grapes will be sold to local wineries and the remainder will be used by the beneficiary to produce their own Chkhaveri wine and sell it in various restaurants and other food facilities.

Roland Tsiteladze and his family have extensive practical experience in winemaking and viticulture. Over the years he has been cultivating four different types of grapes on his own land and making wine. The implementation of the project will contribute to the development of the viticulture in the region.



+995 555 668 080

# „ზვიოს ვენახები“ სოფელი კოკოტაური

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ზვიად გოლომონაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოკოტაური |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 2,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 1 ადამიანი |



“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ზვიად გოლომონაძემ, სოფელ კოკოტაურში 1500კვ.მ ნაკვეთზე 300 ძირი ცოლიკოურის ჯიშის ვაზი გააშენა. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარმა ვენახის გამართვისთვის საჭირო ყველა ინვენტარის შეძენა შეძლო: ბოძების, მავთულების, კულტივატორის, შესაწამლი აპარატისა და ძრავიანი სათიბის. ამას გარდა, 15 კუბური მეტრი მოცულობის სარწყავი წყლის ავზი ააგო.

ზვიად გოლომონაძეს ვენახის მოვლისა და მოშენების დიდი გამოცდილება აქვს. პროექტის საშუალებით, მან შეძლო, გაეუმჯობესებინა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და რეგიონში მევენახეობის დარგის პოპულარიზაციაში შეეტანა წვლილი.

# ZVIO’S VINEYARDS KOKOTAURI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Zviad Golomonadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Kokotauri Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 2,500 GEL |
| **Number of employees** | 1 person |

With the support of Keda LEADER, Zviad Golomonadze planted 300 Tsolikouri vine seedlings on a 1,500 m2 plot of land in the village of Kokotauri.

All the necessary equipment for the assembly of the vineyard was purchased: concrete poles, wires, a cultivator, insecticide spray, a motorized mower, and a water tank of 15 cubic meters that was built for the irrigation system.

Zviad Golomonadze has years of experience in vineyard care and cultivation. After the project, he was able to improve the financial situation of his family, as well as contribute to the promotion of the viticulture sector in the region and the overall development of agriculture.



# ცოლიკოურის ვენახი სოფელი ოქტომბერი

+995 591 980 700

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | მალხაზ სურმანიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოქტომბერი |
| პროექტის ბიუჯეტი | 5,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 4,250 ლარი |
| თანადაფინანსება | 750 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 2 ქალი, 1 მამაკაცი |



სოფელ ოქტომბერში, მალხაზ სურმანიძემ 1200კვ.მ-ზე 250 ძირი ცოლიკოურის ჯიშის ვაზი გააშენა. ვენახის სრულმოსავლიანობის მიღწევის შემდეგ, დაახლოებით 5 წელიწადში, მოსავალი 1,5-2 ტონამდე მიაღწევს. მოსავლის ნაწილი ღვინის ქარხნებში, ხოლო ნაწილი - ადგილობრივ მოსახლეობაში გაიყიდება. შემდგომი რეალიზაციისათვის, დავარგდება საოჯახო ღვინოც.

ბენეფიციარმა მალხაზ სურმანიძემ ვენახი პირველად 2010 წელს გააშენა, მცირე ფართობზე. მისი ოჯახისათვის მევენახეობა ტრადიციაა, ამიტომ მალხაზ სურმანიძისთვის ეს საქმიანობა უცხო არ არის. დიდი პოტენციალის მიუხედავად, სოფელ ოქტომბერში სახნავი სავარგულების მხოლოდ 5-6% ეთმობა მევენახეობას. პროექტის განხორციელებამ კი, თემში ამ დარგის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი.

# TSOLIKOURI VINEYARD OKTOMBERI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Malkhaz Surmanidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Oktomberi Village |
| **Project Budget** | 5,000 GEL |
| **EU funding** | 4,250 GEL |
| **Co-financing** | 750 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 2 women, 1 man |

In the village Oktomberi, 250 grape seedlings of Tsolikouri were planted on a 1,200 m2 plot of land owned by Malkhaz Surmanidze. After they reach their full maturity in about 5 years, up to 1.5-2 tons of grapes will be harvested. A portion of the product will be sold to wineries and the remainder will be sold to the local population. The producers will also produce and sell wine made with these grapes.

Malkhaz Surmanidze first planted a vineyard on a small piece of land in 2010. The field of viticulture is a traditional for his family and this activity has been passed down for generations.

Despite its high potential, only 5-6% of arable land in the village of Okromberi is used for viticulture. The implementation of the project contributed to the popularization of this field in the community.



# თევზის სამოდელო საინკუბაციო საამქრო „ფორეჯი“ სოფელი წონიარისი

+995 577 989 948

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“ |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა / აკვაკულტურა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი წონიარისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 100,650 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 53,710 ლარი |
| თანადაფინანსება | 46,940 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 6 ქალი |

„ფორეჯის“ ძირითადი მიზანი მეთევზეობის დარგის განვითარება და აჭარის რეგიონში თევზსაშენების ამოქმედებაა. პროექტის დაწყებიდან 7 თვის შემდეგ, ინკუბატორს უკვე სარეალიზაციოდ მზად ჰყავდა 240,000 ლიფსიტა. 1 წლის განმავლობაში კი, 5 საინკუბაციო ციკლის განხორციელებაა შესაძლებელი. თევზის სამოდელო საინკუბაციო საამქრომ გადაამზადა და მუდმივად დაასაქმა 6 ადგილობრივი ქალი.

“ქედა ლიდერის” ხელშეწყობით, მოეწყო “ფორეჯის” არსებული შენობა და შესაბამისი დანადგარებით აღიჭურვა, წყალმომარაგების სისტემაში მექანიკური წმენდის ფილტრები დამონტაჟდა და მოწესრიგდა საამქროს გარე პერიმეტრი. იმპორტის სახით, საფრანგეთიდან და ნორვეგიიდან შემოიყვანეს ქვირითი.

ასოციაცია „ფორეჯი“ 2016 წელს შეიქმნა და დღესდღეობით, უკვე თევზმშენებელ 46 წევრს ითვლის. ასოციაცია ფერმერებს კონსულტაციებს უწევს თევზის გამოზრდის პერიოდში და რეალიზაციის გზების პოვნაში ეხმარება. პროექტის შედეგად, ამოქმედდა აჭარის რეგიონის თევზსაშენები.

# FISH INCUBATION DEMONSTRATION WORKSHOP FOREJI TSONIARISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Organic Aquaculture Development Association Foreji |
| **Sector** | Agriculture / Aquaculture |
| **Location** | Keda Municipality, Tsoniarisi Village |
| **Project Budget** | 100,650 GEL |
| **EU funding** | 53,710 GEL |
| **Co-financing** | 46,940 GEL |
| **Number of employees** | 6 women |

The main goal of Foreji is to develop the fisheries sector and support the growth of fish farms in the Ajara region. Seven months after the start of the project, the incubator already had 240,000 hatchlings ready for sale. Within the span of a single year, The enterprise can carry out 5 incubation cycles. This enterprise, which specializes in incubation and demonstration, has trained and permanently employed 6 local women. Through the project, the existing building was improved and equipped with the appropriate machinery, mechanical cleaning filters were added to the water supply system, and the outer perimeter of the enterprise was renovated. In addition, fish spawn were imported from France and Norway.

Association Foreji was established in 2016 and carries out multiple activities in this field on a variety of levels. Today, the association has 46 fish-farmer members. The association also provides consultations for farmers working in aquaculture and assists them in accessing markets. Thanks to the support of Keda LEADER, numerous fish farms were put into operation in the Ajara region.











# საკალმახე მეურნეობა სოფელი ჩეტკიძეები

+995 593 361 212

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ფრიდონ ბოლქვაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა / აკვაკულტურა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩეტკიძეები |
| პროექტის ბიუჯეტი | 58,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 40,600 ლარი |
| თანადაფინანსება | 17,400 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |

სოფელ ჩეტკიძეებში მდებარე სალიფსიტე მეურნეობამ, ბოლო სამი წლის განმავლობაში 240,000 ლიფსიტა მოაშენა.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ბენეფიციარმა ფრიდონ ბოლქვაძემ, რომელსაც სალიფსიტე მეურნეობის მიმართულებით 7-წლიანი გამოცდილება აქვს, საკალმახე გააფართოვა და განავითარა. თემმა ლიფსიტის გამოსაყვანი და თევზსაშენი მსხვილი მეურნეობა შეიძინა. გააკეთა კალმახის გასაზრდელი წყლის ავზი, დაამონტაჟა ორტონიანი მაცივრები, ააშენა სათავსი ნაგებობა და თევზის ცოცხლად გადასატანად, თერმოიზოლირებული კონსტრუქცია შეიძინა. პროდუქტი, ძირითადად, რესტორნებში მაღაზიათა ქსელებსა და ადგილობრივ მომხმარებლებში იყიდება. სალიფსიტე მეურნეობის ამუშავებამ მუნიციპალიტეტში აკვაკულტურის განვითარებაში შეიტანა წვლილი.

# TROUT FARM CHETKIDZEEBI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Pridon Bolkvadze |
| **Sector** | Agriculture / Aquaculture |
| **Location** | Keda Municipality, Chetkidzeebi Village |
| **Project Budget** | 58,000 GEL |
| **EU funding** | 40,600 GEL |
| **Co-financing** | 17,400 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

Pridon Bolkvadze first began building his trout hatchery in 2014. In just the last three years, the hatchery has produced 240,000 trout hatchlings.

During the course of the project, Bolkvadze’s trout farm was both expanded and developed, leading to the community acquiring what is now a large trout farm. The project supported the construction of a water tank for raising the trout, the installation of two-ton refrigerators, the construction of a storage facility, and the purchase of a thermally insulated structure suitable for the transportation of live fish. The farm’s products are sold in restaurants and store chains, as well as to local customers.

The implementation of the project contributed to the development of aquaculture in Keda Municipality.



# კალმახის სალიფსიტე მეურნეობა სოფელი მერისი

+995 577 723 535

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | სოსო თურმანიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა / აკვაკულტურა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 60,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 42,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 18,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 6 ადამიანი |



სოფელ მერისის სალიფსიტე მეურნეობა 800კვ.მ ფართობზეა გაშენებული და 1,000,000 ლიფსიტას აწარმოებს. მეურნეობაში დაცულია ეკოლოგიური სტანდარტები და შედეგად, ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტი მიიღება, რომლითაც საქართველოს სხვა საკალმახე მეურნეობები მარაგდება.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ბენეფიციარმა სოსო თურმანიძემ გააფართოვა საკუთარი ბიზნესი, შემოღობა ტერიტორია, მეურნეობა საჭირო ტექნიკური რესურსით მოამარაგა და ინფრასტრუქტურა მოაწესრიგა.

სოსო თურმანიძეს საკალმახე მეურნეობაში მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება აქვს, რაც დაეხმარა სწორად განესაზღვრა ამ მცირე ბიზნესის პოტენციალი, ბაზარზე მისი მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე.

# TROUT HATCHERY - MERISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Soso Turmanidze |
| **Sector** | Agriculture / Aquaculture |
| **Location** | Keda Municipality, Merisi Village |
| **Project Budget** | 60,000 GEL |
| **EU funding** | 42,000 GEL |
| **Co-financing** | 18,000 GEL |
| **Number of employees** | 6 persons |

This trout hatchery, which is built on land with an area of 800 m2, produces 1,000,000 hatchlings all of which are available for purchase. The enterprise complies with all environmental standards, which means that the end product is eco-friendly. The trout hatchery also functions as a supplier to other trout farms across Georgia.

Soso Turmanidze expanded his business with support from the Keda LEADER project: the area of the hatchery was fenced off and the enterprise was supplied with the necessary technical resources and infrastructure.

Soso Turmanidze has 6 years of experience working in a trout farm, which has helped him to correctly identify the considerable potential of this small business given its growing market demand.



# ᲡᲐᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲒᲐᲠᲐ

+995 558 719 039

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ჯუმბერ დევაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა/აკვაკულტურა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა |
| პროექტის ბიუჯეტი | 18,480 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 14,660 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,820 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 2 ადამიანი |



თევზსაშენი საკალმახე მეურნეობა ქედის მუნიციპალიტეტ სოფელ აგარაში 2021 წლის სექტემბრიდან სრულად ამოქმედდება. პირველ ეტაპზე, ბენეფიციარმა ჯუმბერ დევაძემ 5000 ცალი 10-გრამიანი ლიფსიტა შეიძინა, შემდგომი გამრავლებისა და რეალიზაციისათვის.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერა საკალმახე მეურნეობის განვითარებას მოიაზრებდა, კერძოდ: არსებული ინფრასტრუქტურის შეკეთება-განახლებას, ელექტროენერგიის გაყვანას, დამატებითი საჭირო აღჭურვილობის შეძენას, დამატებითი აუზების გაშენებასა და ტერიტორიის სათანადოდ მოწყობას.

ჯუმბერ დევაძეს უკვე რვაწლიანი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, კერძოდ, ინფრასტრუქტურის მოწყობაში, ლიფსიტების გამოყვანასა და პროდუქციის ბაზარზე გატანასა და რეალიზებაში.

# TROUT FARM - AGARA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Jumber Devadze |
| **Sector** | Agriculture / Aquaculture |
| **Location** | Keda Municipality, Agara Village |
| **Project Budget** | 18,480 GEL |
| **EU funding** | 14,660 GEL |
| **Co-financing** | 3,820 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

The trout farm in the village of Agara, Keda Municipality will be in full operation beginning in September 2021. During the first stage, 5,000 ten-gram hatchlings were purchased for further propagation and sale.

The project aimed to support the beneficiary in developing a trout farm by repairing and upgrading the existing infrastructure, specifically the electrical wiring of the building, the purchase of additional equipment, the planting of additional ponds, and the proper organization of the area.

Jumber Devadze already has eight years of experience in this field. He is knowledgeable in both infrastructure building and fish hatching, as well as the sale of these products on the market.







+995 591 980 813

# საკალმახე მეურნეობა „პერანგა“ სოფელი ახო

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | თამაზ ნაკაშიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა / აკვაკულტურა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო |
| პროექტის ბიუჯეტი | 20,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 16,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 8 ადამიანი: 1 ქალი, 7 მამაკაცი |



სოფელ ახოში, თევზსაშენ “პერანგას” 11 საკალმახე აუზში ბენეფიციარმა თამაზ ნაკაშიძემ ამერიკული კალმახი მოაშენა. თევზი ადგილობრივ მოსახლეობაში, ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრებში, კვების ობიექტებში - რესტორნებსა და სასადილოებში იყიდება.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერა თამაზ ნაკაშიძის თევზსაშენი მეურნეობის გაფართოებას ითვალისწინებდა. პროექტის ფარგლებში, დამატებით აშენდა და მოეწყო 7 საკალმახე აუზი, თითოეული 37,5 კვ.მ ფართობის.

თამაზ ნაკაშიძეს თევზის მეურნეობის გაძღოლის 8-წლიანი გამოცდილება აქვს. ახოს თევზსაშენამდე მას 4 საკალმახე და 12 სალიფსიტე აუზი ჰქონდა. ახოს საკალმახე მეურნეობის შექმნა ქედის მუნიციპალიტეტის მდიდარი ჰიდრორესურსებმა და აკვაკულტურის განვითარებისთვის ხელსაყრელმა კლიმატურმა გარემომ გადააწყვეტინა.

# TROUT FARM PERANGA AKHO VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Tamaz Nakashidze |
| **Sector** | Agriculture/Aquaculture |
| **Location** | Keda Municipality, Akho Village |
| **Project Budget** | 20,000 GEL |
| **EU funding** | 16,000 GEL |
| **Co-financing** | 4,000 GEL |
| **Number of employees** | 8 persons: 1 woman, 7 men |

This project supported the expansion of the Peranga trout farm, located in the village of Akho, Keda Municipality where Tamaz Nakashidze raises American trout in 11 trout ponds. These fish are sold in Batumi agricultural markets, food facilities, restaurants and cafeterias, and directly to locals as well.

The project included additions made to Nakashidze’s fish farm: 7 new trout ponds were built and arranged, each measuring 37.5 m$^2$.

Keda Municipality creates a favorable environment for the development of aquaculture, with its rich hydro resources and suitable climate. That is why Tamaz Nakashidze, who has 8 years of experience in running a fish farm, decided to expand his business. Prior to the project, it had 4 trout ponds and 12 hatchling ponds.



# მეფუტკრეობა სოფელი კვაშტა

+995 574 226 913

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | რომან გათენაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვაშტა |
| პროექტის ბიუჯეტი | 19,650 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 15,720 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,930 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



გათენაძეების ოჯახი, სოფელ კვაშტაში, თაფლთან ერთად, ფუტკრის სხვა პროდუქტებსაც აწარმოებენ: დინდგელი, ცვილი, ქეო, ფუტკრის პაკეტები, თაფლის არაყი... პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა, ხოლო წარმოების პროცესი ანტიბიოტიკებისა და დიდი რაოდენობით შაქრის გამოყენების გარეშე ხდება.

პროექტის ფარგლებში, კვაშტას საფუტკრე მეურნეობაში არსებული სკები განახლდა, საფუტკრე მეურნეობა ისეთი სპეციალური ინვენტარით აღიჭურვა, როგორიცაა: სპეციალური დეკრისტალიზატორი, ორთქლის ცვილსადნობი, უჟანგავი ქურჭელი და სხვა საჭირო ტექნიკური რესურსი.

რომან გათენაძემ საფუტკრე მეურნეობა 2014 წლიდან გახსნა. თუმცა, თავად საერთო ჯამში, ფუტკრის მოვლის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. ეს მას საშუალებას აძლევს გააფართოვოს მეურნეობა და ახალი ინვენტარის საშუალებით, უფრო ნაყოფიერი გახადოს საკუთარი საქმიანობა, რადგან ფუტკარი სასარგებლოა არა მხოლოდ მეურნისთვის, არამედ ბუნებისთვისაც.

# BEEKEEPING - KVASHTA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Roman Gatenadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Kvashta Village |
| **Project Budget** | 19,650 GEL |
| **EU funding** | 15,720 GEL |
| **Co-financing** | 3,930 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

Roman Gatenadze's family produces bee products in addition to honey such as propolis, wax, chaff, bee pollen, and honey spirits, all of which are eco-friendly products. The production process is done without the use of antibiotics or large amounts of sugar.

Within the framework of the project, the existing beehives in the village of Kvashta were renovated and the apiary was equipped with special machinery including a special honey decrystallization machine, a steam wax melter, stainless steel utensils, and other necessary technical resources.

Roman Gatenadze's beekeeping farm has been operating since 2014, and Roman himself has 15 years of experience in bee care, which helps him in expanding his farm and making the business more profitable through this new equipment, as his bees provide benefits to both nature and the farm.













# საფუტკრე N1 სოფელი კუჭულა და სოფელი ოქტომბერი

+995 558 537 174

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | გოჩა გორგაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კუჭულა და სოფელი ოქტომბერი |
| პროექტის ბიუჯეტი | 19,700 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 15,700 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 2 ქალი, 3 მამაკაცი |



გოჩა გორგაძე და მისი ოჯახი, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭულასა და ოქტომბერში “საფუტკრე N1”-ს უძღვებიან. საფუტკრე მეურნეობაში, თაფლსა და თაფლის არაყს აწარმოებენ.

“ქედა ლიდერის” ხელშეწყობით, მეურნეობა ისეთი თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვა, როგორებიცაა: თაფლის ჩამოსასხმელი, უჟანგავი რეზერვუარები, დეკრისტალიზატორი და ორთქლზე მომუშავე არყის სახდელი.

ბენეფიციარ გოჩა გორგაძესა და მის ოჯახს თაფლის წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. „საფუტკრე N1”-დან ისინი ყოველწლიურად 900 კილოგრამამდე თაფლს იღებენ, ხოლო ფიჭისგან ეკოლოგიურად სუფთა და გემოვნური თვისებებით გამორჩეულ არაყს ხდიან.

# APIARY NUMBER 1 - OKTOMBERI VILLAGE AND KUTCHULA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Gocha Gorgadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Oktomberi Village and Kutchula Village |
| **Project Budget** | 19,700 GEL |
| **EU funding** | 15,700 GEL |
| **Co-financing** | 4,000 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 2 women, 3 men |

Gocha Gorgadze and his family run Apiary Number 1 in the village of Kutchula and Oktomberi in Keda Municipality. In addition to honey, Apiary Number 1 also produces spirits from honey.

The project provided modern equipment including: a honey filling machine, stainless steel tanks, a decrystallization machine, and a spirit distiller.

The owner of the farm, Gocha Gorgadze, and his family have many years of experience in honey production. They produce up to 900 kilograms of honey for Apiary Number 1 every year and make a vodka from honeycomb that has eco-friendly properties.


წაბლის თაფლი
CHESNUTS HONEY
KEDA
PRODUCER: I/E GOCHA GORGADZE
ADD:KUCHULA,KEDA
TEL:+995 558 53 71 74











# მეფუტკრეობა სოფელი ზუნდაგა

+995 555 337 346

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ნუგზარ ვერძაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა |
| პროექტის ბიუჯეტი | 17,130 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 13,550 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,580 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 1 ქალი, 4 მამაკაცი |



სოფელ ზუნდაგაში, ნუგზარ ვერძაძე, ოჯახთან ერთად, მეფუტკრეობითაა დაკავებული. საფუტკრე მეურნეობაში იწარმოება ფუტკრის რძე, ფუტკრის შხამი, ყვავილის მტვერი და დინდგელი. ამას გარდა, სელექციური გადარჩევის გზით, სერიულად გამოჰყავთ დედა ფუტკრები.

პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარმა 60-80 ცალი დადანის ორკორპუსიანი სკა და ელექტროციბრუტი შეიძინა. დედა ფუტკრის გამოყვანის მიზნით, სულ მცირე, ორი კომპლექტის, ჯენტერის პლასტმასის ფიჭა და დამატებითი საშუალებები მოიპოვა. მეურნეობას 5-10 ცალი ყვავილის მტვრის შემაგროვებელი, ყვავილის მტვრის საშრობები და ფუტკრის შხამის თანამედროვე შესაგროვებელი აპარატი დაემატა.

მეურნეობაში ჩართულ ოჯახის წევრებს, მეფუტკრეობის მიმართულებით, მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. ისინი კარგად იცნობენ როგორც ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობის, ფუტკრის ოჯახების მკურნალობისა და მათ ხელოვნურ კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე სკებისა და სკის ჩარჩოების აწყობის ტექნოლოგიას.

# BEEKEEPING - ZUNDAGA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Nugzar Verdzadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Zundaga Village |
| **Project Budget** | 17,130 GEL |
| **EU funding** | 13,550 GEL |
| **Co-financing** | 3,580 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 1 woman, 4 men |

Nugzar Verdzadze produces bee milk, bee venom, flower dust, and propolis. His work includes the serial selection of queen bees through a particular breeding process.

As part of the project, the beneficiary has expanded his beekeeping farm through special purchases, including 60-80 pieces of Dadant double-hull beehives, an electric honey extractor, two sets of Jenter's plastic honeycomb and accessories for the breeding of queen bee, 5-10 pieces of flower dust collectors and a 3 kg flower dust dryer, and a modern bee-venom collector.

Family members involved in the family business have many years of experience in beekeeping as well. They are well acquainted with the general care and maintenance of bee colonies, treatments against diseases, the process of artificial feeding, and the technology of assembling beehives and beehive frames.










+995 593 102 354

# ტექნიკური აღჭურვილობა კენკრის ბაღისთვის სოფელი ნამლისევი

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | იასონ ფალავანდიშვილი |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნამლისევი |
| პროექტის ბიუჯეტი | 28,460 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 19,580 ლარი |
| თანადაფინანსება | 8,880 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 1 ადამიანი |



მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური მახასიათებლების გამო, ნიადაგის დამუშავება განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება და გამართულ ტექნიკას მოითხოვს. სოფელ ნამლისევის მკვიდრი იასონ ფალავანდიშვილი ტრაქტორს 0,14ჰა მიწის დასამუშავებლად იყენებს და მასზე, სხვადასხვა ერთწლოვან კულტურასთან ერთად, კენკრა და თხილიც მოჰყავს.

პროექტ „ქედა ლიდერის" ფარგლებში, ბენეფიციარმა სრულად აღჭურვილი ტრაქტორი შეიძინა.

იასონ ფალავანდიშვილს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოვლის, მიწის დამუშავებისა და სხვადასხვა კულტურის მოყვანის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

# TECHNICAL EQUIPMENT FOR THE BERRY ORCHARD NAMLISEVI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Iason Palavandishvili |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Namlisevi Village |
| **Project Budget** | 28,460 GEL |
| **EU funding** | 19,580 GEL |
| **Co-financing** | 8,880 GEL |
| **Number of employees** | 1 person |

Due to the landscape characteristics of Keda municipality, its land cultivation is associated with special difficulties and requires sophisticated equipment. Iason Palavandishvili, a resident of the village of Namlisevi, uses a tractor to cultivate 0.14 ha of land and grows berries and hazelnuts along with various annual crops.

With the support of the Keda LEADER project Iason Palavandishvili purchased a fully equipped tractor.

The beneficiary of the project has many years of experience in the care of agricultural lands, tillage, and cultivation of different crops.



# ტყემლის ბაღი სოფელი აგოთა

+995 595 087 565

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | დავით დუმბაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი აგოთა |
| პროექტის ბიუჯეტი | 9,960 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 7,520 ლარი |
| თანადაფინანსება | 2,440 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 1 ადამიანი |



ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგოთაში 1ჰა მიწის ნაკვეთი შემოიღობა და მასზე ტყემლის ბაღი გაშენდა. ბაღი მე-4 წლიდან 3-4 ტონა ნაყოფს გამოიღებს, ხოლო მე-8 წელს 30 ტონა მოსავლის მიღება იქნება შესაძლებელი. ტყემალი აგრარულ ბაზრებსა და ტყემლის დამამზადებელ ქარხნებში გაიყიდება.

პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ბაღის გაშენებისათვის აუცილებელი ყველა სამუშაო, როგორიცაა: ნაკვეთების აგეგმვა, გაწმენდა, მინერალური სასუქის შეტანა, ნერგების დარგვა და სრული გამართვა.

სეზონურ სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

# CHERRY PLUM GARDEN AGOTA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Davit Dumbadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Agota Village |
| **Project Budget** | 9,960 GEL |
| **EU funding** | 7,520 GEL |
| **Co-financing** | 2,440 GEL |
| **Number of employees** | 1 person |

Keda LEADER carried out activities in the village Agota, Keda Municipality, where 10,000 m2 of land was fenced off and a cherry plum garden was built. This garden will produce 3 to 4 tons of fruit from its 4th year and in the 8th year it will have the capacity to yield 30 tons. The plums will be sold in food markets and to factories that produce the Georgian plum sauce Tkemali.

The project supported all the necessary work for the cultivation of the garden, such as: initial planning for land's cultivation, cleaning, the application of mineral fertilizers, the planting of seedlings, and the complete maintenance of the area. Local workers will be employed by the garden for seasonal work.



+995 599 232 918

# ვერმიკომპოსტის წარმოება სოფელი კოკოტაური

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ლაშა ზოიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოკოტაური |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |



ვერმიკომპოსტის წარმოება და მცენარეთა მოვლაში მისი აქტიური მოხმარება ნიშნავს მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცირებას, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებასა და ეკოლოგიურად მდგრადი, ნოყიერი ნიადაგის მიღებას. კოკოტაურის საწარმო, სრულიად ბუნებრივი გზებით ამზადებს ბიოწარმოებისთვის საჭირო ბუნებრივ სასუქს - ვერმიკომპოსტს. საწარმოს მუშაობის პრინციპი ასეთია: ბიომასის მიწოდება ჭიაყელებისთვის, რომლებიც მასას გადაამუშავებენ და მცენარისთვის სასარგებლო ნივთიერებებით სავსე ბიოსასუქს წარმოქმნიან.
ვერმიკომპოსტის საწარმო პროექტის ფარგლებში აშენდა. მოეწყო ინფრასტრუქტურა, საწარმო მომარაგდა შესაბამისი ნედლეულით და დაიწყო გადამუშავება.

პროექტის ავტორს, პროფესიით აგრონომ ლაშა ზოიძეს, დიდი გამოცდილება აქვს ბიოწარმოების სექტორში. “ქედა ლიდერის” მეშვეობით, მან საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების ბიზნესად ქცევა და ამავდროულად, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისთვის საფუძვლის ჩაყრა შეძლო.

# PRODUCTION OF VERMICOMPOST KOKOTAURI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Lasha Zoidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Kokotauri Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

The production of vermicompost and its active use in plant care helps to promote the reduction of harmful chemicals, the production of biologically pure products, and the cultivation of ecologically sustainable, fertile soil. The enterprise in Kokotauri produces this fertilizer, vermicompost, through a completely natural, organic process that involves providing a biomass to worms which then process the mass and produce a biofertilizer full of plant nutrients.

This vermicompost enterprise was built through the support of the Keda LEADER project. Infrastructure was developed and the enterprise was supplied with the appropriate raw materials in order for processing to begin.

The author of the project, Lasha Zoidze, is an agronomist by profession and has experience in organic farming and thus the enterprise is directly linked to his profession. Through the project, he was able to turn his practical experience into a successful business and at the same time lay the foundation needed to solve an important environmental problem.



# სასათბურე მეურნეობა სოფელი ახო

+995 558 024 747

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ლევან დიასამიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 2 ქალი, 1 მამაკაცი |



სოფელ ახოს სასათბურე მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ სხვადასხვა სახის ბოსტნეული.

პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით ბენეფიციარმა ლევან დიასამიძემ სათბურის კონსტრუქცია შეიძინა და მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაამონტაჟა. სათბური წვეთოვანი სარწყავი სისტემით აღჭურვა, შეიტანა სასუქი, დაიწყო მიწის დამუშავება და ბოსტნეულის მოყვანა.

პროექტის განხორციელების შედეგად, ქედის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი სასათბურე მეურნეობა შეემატა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მთელი წლის განმავლობაში ნატურალური, ბიოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის მოყვანა. ამავდროულად, პროექტის ფარგლებში აშენებული სათბური მოსავალს სტიქიური მოვლენებისგან დაიცავს.

# GREENHOUSE FARMING AKHO VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Levan Diasamidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Akho Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 2 women, 1 man |

This greenhouse in the village of Akho, Keda Municipality grows a wide variety of vegetables all year round and sells them at different locations.

With the funding received through the Keda LEADER project, Levan Diasamidze purchased supplies for greenhouse construction and installed it on land he owned. He equipped the greenhouse with a drip irrigation system, applied fertilizer, and started cultivating the land and growing vegetables.

As a result, another greenhouse was added to Keda Municipality, which made it possible to grow natural, organic vegetables throughout the year. At the same time, the greenhouse ensures the protection of the crops from possible natural disasters.



# ვაზის სანერგე სასათბურე მეურნეობა სოფელი კოკოტაური

+995 557 293 030

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ინგა ბერიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოკოტაური |
| პროექტის ბიუჯეტი | 10,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი |



კოკოტაურის ვაზის სანერგე-სასათუბრე მეურნეობაში გამოჰყავთ ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგები: ჩხავერი, ცოლიკოური, საწური და ხაფათური. მათი რეალიზაცია მიმდინარეობს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით.

ინგა ბერიძე მრავალი წელია სანერგე ვაზის ძირების გამოყვანითაა დაკავებული. მის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია, რამაც საქმიანობის გაფართოება გადააწყვეტინა.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარმა გააფართოვა და კეთილმოაწყო სანერგე-სასათბურე მეურნეობა, შეძლო სამშენებლო მასალის შეძენა და სანერგეს მშენებლობა, ვაზის მწარე 30.000 საძირეს შესყიდვა და სათბურის ასამუშავებლად საჭირო სხვა რესურსების უზრუნველყოფა.

# VINE NURSERY FARM KOKOTAURI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Inga Beridze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Kokotauri Village |
| **Project Budget** | 10,000 GEL |
| **EU funding** | 8,500 GEL |
| **Co-financing** | 1,500 GEL |
| **Number of employees** | 3 persons |

Inga Beridze has been growing vine seedlings for many years. She specializes in a unique variety of vine seedlings that she grows in her vine nursery farm in Kokotauri village: Chkhaveri, Tsolikouri, Satsuri, and Khapaturi. The seedlings are sold both in the local market and throughout Georgia. Demand for her products is high, thus she decided to expand her business.

Under the project, the vine nursery farm's greenhouse was expanded and improved, 30,000 vine seedlings were purchased, and other resources for the development of the greenhouse were provided.

As a result, the project promoted the development of the viticulture sector in the region and the development of the regional value chain of agricultural products.









# მარწყვის სათბური სოფელი ზენდიდი

+995 599 851 222

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ჯუმბერ ბეჟანიძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენდიდი |
| პროექტის ბიუჯეტი | 18,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 14,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,600 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



სოფელ ზენდიდში, ჯუმბერ ბეჟანიძემ 250კვ.მ მიწის ფართობის სასათბურე მეურნეობაში „სან ანდრეასის“ ჯიშის მარწყვი გააშენა. პროდუქტი მრავალჯერადი ვეგეტაციით გამოირჩევა და მაღალი გემოვნური თვისებებით ხასიათდება. მისი რეალიზაცია ბათუმის მარკეტებში, რესტორნებში, სასტუმროებსა და სხვადასხვა საკონდიტრო საწარმოებში, ასევე - დაბა ქედის სავაჭრო ობიექტებში მიმდინარეობს.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, სასათბურე მეურნეობა საჭირო ინვენტარით აღიჭურვა, დამზადდა და დამონტაჟდა სხვადასხვა ზომის პირამიდული კონსტრუქციის სტელაჟები. დაირგო 2640 მარწყვის ჩითილი, მოეწყო წვეთობრივი მორწყვის სისტემა და 2 გამწოვი ვენტილატორი დამონტაჟდა.

პროექტის განხორციელების შედეგად, სათბურში წელიწადის ნებისმიერ დროს მოჰყავთ მაღალი გემოვნური თვისებების მქონე ეკოლოგიურად სუფთა მარწყვი, რაც ზენდიდში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის ათვისებისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

# STRAWBERRY GREENHOUSE ZENDIDI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Jumber Bezhanidze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Zendidi Village |
| **Project Budget** | 18,000 GEL |
| **EU funding** | 14,500 GEL |
| **Co-financing** | 3,600 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

San Andreas, a well-known variety of strawberries, are cultivated in a greenhouse that is spread across a 250 m2 plot of land owned by Jumber Bezhanidze. These varieties of strawberries are distinguished by multiple vegetation cycles and are characterized by a high quality of flavour. They are sold in Batumi markets, restaurants, hotels, and various confectionery enterprises, as well as in the trade facilities of the town of Keda.

Under the project, the greenhouse was supplied with the necessary equipment and various sizes of stillages with a pyramid structure were made and installed. 2,640 strawberry seedlings were planted, a drip irrigation system was constructed, and two ventilation fans were installed.

As a result of the project, high quality, organic strawberries are being cultivated throughout the year, which contributes to the utilization and development of the potential in this field in the village.



# ჟოლოს სათბური სოფელი კოკოტაური

+995 591 055 533

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ნელი ბოლქვაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოკოტაური |
| პროექტის ბიუჯეტი | 46,530 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 10,920 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,670 ლარი |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება | 33,940 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 2 ქალი, 1 მამაკაცი |

კოკოტაურის ჟოლოს სასათბურე მეურნეობაში, 600კვ.მ მიწის ფართზე, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის კაროლინას ჯიშის ჟოლო მოჰყავთ. ყოველწლიური მოსავალი, დაახლოებით, 1800 კილომდეა. რეალიზაცია, ძირითადად, ადგილობრივ მოსახლეობაში, ტურისტებსა და მარკეტებში ხდება. პროექტი მაღალბიუჯეტიანია და მის დაფინანსებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროც ჩაერთო.

ჟოლოს სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის ფარგლებში, ბენეფიციარმა ნელი ბოლქვაძემ მიწის ნაკვეთზე, ხის მასალითა და პოლიეთილენის ცელოფნით, ჟოლოს სასათბურე მეურნეობის მოწყობა შეძლო. სათბური სარწყავი სისტემით აღიჭურვა.

პროექტის განხორციელებამდე, ნელი ბოლქვაძეს 1000კვ.მ-ზე ჰქონდა გაშენებული ჟოლოს პლანტაცია. ნედლ ჟოლოზე მზარდმა მოთხოვნამ კი, გადააწყვეტინა გაეფართოებინა მეურნეობა და თანამედროვე, მაღალმოსავლიანი ჯიშები გაეშენებინა.

# RASPBERRY GREENHOUSE KOKOTAURI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Neli Bolkvadze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Kokotauri Village |
| **Project Budget** | 46,530 GEL |
| **EU Funding** | 10,920 GEL |
| **Co-financing** | 1,670 GEL |
| **Funding from the Ministry of Agriculture** | 33,940 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 2 women, 1 man |

High-quality organic Carolina raspberries are grown In the village of Kokotauri in a greenhouse built on 600 m2 of land, with a yield of up to approximately 1,800 kg annually; The product is mainly sold to the locals, tourists, and to markets. The project has a high value and was also co-funded by the Ministry of Agriculture. The project included constructing a raspberry greenhouse on the private land of Neli Bolkvadze using wood and polyethylene cellophane. The greenhouse was equipped with an irrigation system.

Neli Bolkvadze had a raspberry plantation on a 1,000 m2 plot of land before the project was implemented, but due to the growing demand for raw raspberries she decided to expand the farm and cultivate modern, high-yield varieties.









+995 593 565 502

# ინოვაციური მწვანე ბიზნესის დაგეგმვა სოფელში - დაბა ქედა

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შპს „ქორფა“ |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 20,800 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 16,770 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,030 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 6 ადამიანი: 2 ქალი, 4 მამაკაცი |



დაბა ქედაში, შპს “ქორფამ” ინოვაციური, ენერგოეფექტური და მრავალფუნქციური სათბური მოაწყო, სადაც იწარმოება: მიკრომწვანილი, ჯეჯილის ძვირადღირებული ზეთი, ბიოქათამი/კვერცხი, მცენარეული ზეთები და ქოთნის საკვები მცენარეები. პროდუქტის რეალიზაცია ხდება რესტორნებში, სასტუმროებში, ფიტნეს და იოგაცენტრებში, ძირითადად, აჭარის რეგიონსა და ქალაქ თბილისში.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, აშენდა და სათანადოდ აღიჭურვა მულტიფუნქციური სათბური.

„ქორფა” ერთ-ერთი პირველია საქართველოში, ვინც ისეთი ინოვაციური პროდუქტების წარმოება დაიწყო - როგორიცაა: მიკრომწვანილი და ჯეჯილის ზეთი. საგანმანათლებლო პროექტების მეშვეობით, “ქორფა”, მრავალი წლის განმავლობაში, საქართველოში ბიოპროდუქციის მოყვანასა და რეალიზებას უწევს პოპულარიზაციას.

# MULTIFUNCTIONAL GREENHOUSE KORPA - TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | “Korpa” Ltd |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Town of Keda |
| **Project Budget** | 20,800 GEL |
| **EU funding** | 16,770 GEL |
| **Co-financing** | 4,030 GEL |
| **Number of employees** | 6 persons: 2 women, 4 men |

Korpa Ltd. constructed an innovative, energy efficient, and multifunctional greenhouse in the town of Keda, producing microgreens, high value wheatgrass oil, organic chicken/eggs, plant oils, and potted plants, which are then sold to restaurants, hotels, and fitness and yoga centers mainly in the Ajara region and in Tbilisi.

A multifunctional greenhouse was built and properly equipped through Keda LEADER.

Korpa Ltd has been promoting the production and sale of organic products in Georgia for many years through educational projects. Korpa Ltd is one of the first in Georgia to start producing innovative products such as microgreens and wheatgrass oil.



# ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲬᲝᲜᲘᲐᲠᲘᲡᲘ

+995 595 002 713

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ზაქრო ბასილაძე |
| სექტორი | სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი წონიარისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 45,400 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 24,400 ლარი |
| თანადაფინანსება | 21,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 8 ადამიანი: 6 ქალი, 2 მამაკაცი |

სოფელ წონიარისში გამართული ინფრასტრუქტურის მქონე მეხორცული ქათმის საწარმო ფუნქციონირებს. მომხმარებელს საშუალება ეძლევა, შეიძინოს ეკოლოგიურად სუფთა საკვებზე გაზრდილი ქათამი. საწარმო ადგილობრივ კვების ობიექტებსა და სასტუმროებსაც ამარაგებს.

პროექტის შედეგად, აშენდა და სათანადოდ მოეწყო 150კვ.მ შენობა, რომელშიც წიწილების გასაზრდელი და პროდუქციის მოსამზადებელი, სასაწყობე და სარეალიზაციო იზოლირებული ფართები განთავსდა.

ბენეფიციარ ზაქრო ბასილაძეს მეფრინველეობის დარგში 3-წლიანი წარმატებული გამოცდილება აქვს. ის კარგად იცნობს ადგილობრივ ბაზარს და ნაყოფიერად თანამშრომლობს სტაბილურ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან.

# POULTRY FARM TSONIARISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Zakro Basiladze |
| **Sector** | Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Tsoniarisi Village |
| **Project Budget** | 45,400 GEL |
| **EU funding** | 24,400 GEL |
| **Co-financing** | 21,000 GEL |
| **Number of employees** | 8 persons: 6 women, 2 men |

This poultry factory, with a sophisticated infrastructure in the village Tsoniarisi, Keda Municipality, offers customers chicken raised on organic food. The enterprise supplies local food facilities and hotels.

As a result of the project, a 150 m2 building was constructed and organised, which houses two isolated sections: a section for raising the chickens and a section comprising areas for product preparation, storage, and sales.

Zakro Basiladze, the beneficiary of the project, has 3 years of successful experience in the field of poultry farming. He knows the local market well and has been successful working with established suppliers and customers.




# მომსახურების სფერო

## SERVICE INDUSTRY

ბოლო წლებში, ქედის მუნიციპალიტეტის ბიზნესსექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა. „ქედა ლიდერმა" მომსახურების სფეროში მომუშავე ათ მცირე და საშუალო ბიზნესს დაუჭირა მხარი.

მომსახურების სფეროს ისეთ მიმართულებებში გაუმჯობესებამ, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ბიზნესი, ფინანსები და, ციფრული მომსახურება, შეამცირა ხარჯი და მომხმარებლისთვის ფასითაც უფრო მიმზიდველი გახდა. ეს კი, ადგილობრივ ბაზარზე ბიზნესის კონკურენტუნარიანობას ზრდის. ამ სექტორში დაფინანსებული ბევრი ბიზნესი ერთადერთ პროვაიდერს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში.

Over the last years, the business sector in Keda municipality has grown considerably. The Keda LEADER project supported ten small and medium businesses operating in the service industry.

Improvements to the service industry in fields such as agricultural inputs, business and finance, and digital services, have reduced cost for the consumers, making the businesses more competitive on the local market. Many of the businesses funded in this sector are the only providers of their respective services within the municipality.




+995 599 546 730

# ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲥᲔᲓᲐ“ - ᲥᲔᲓᲐ

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | „ამხანაგობა ქედა“ |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი |
| პროექტის ბიუჯეტი | 13,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 10,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი |



“ამხანაგობა ქედა“ ადგილობრივ მოსახლეობას აგროტექნიკის მომსახურებას სთავაზობს. მომსახურებაში შედის: ხვნა-თესვა, დადისკვა, დაფრეზვა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებები. თოვლის პირობებში, სერვისში შედის თოვლისგან გზების გაწმენდა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მოსავლის მოტანა.

პროექტის ფარგლებში, “ამხანაგობა ქედას” საკუთრებაში არსებული ძველი ტექნიკა ჩანაცვლდა ახალი, ტექნიკურად გამართული ტრაქტორით, რომელსაც შეუფერხებლად შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა აგროტექნიკური სამუშაო. „ამხანაგობა ქედას” აგროტექნიკური სამუშაოების წარმოების 12-წლიანი გამოცდილება და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მანქანების ექსპლოატაციისა და მართვის კვალიფიკაცია აქვს.

# AGRICULTURAL MECHANIZATION SERVICE CO-OP KEDA MUNICIPALITY

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Cooperation Keda |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality |
| **Project Budget** | 13,000 GEL |
| **EU funding** | 10,000 GEL |
| **Co-financing** | 3,000 GEL |
| **Number of employees** | 5 persons |

Cooperation Keda offers agrotechnical services to the population of Keda. The service includes: plowing, sowing, cultivating, and other agrotechnical services. In winter, the services also include the clearing of snow from roads and the transport of crops from agricultural lands.

Through the project, old equipment owned by Cooperation Keda was replaced with a new tractor of higher quality that can perform various agrotechnical tasks without interruption.

Cooperation Keda has 12 years of experience in agrotechnical work and as a result has the qualifications necessary for the operation and management of modern machinery.



# აზომვითი მომსახურება ქედის მუნიციპალიტეტში

+995 555 463 747

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ირინა ბეჟანიძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი |
| პროექტის ბიუჯეტი | 31,460 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 22,220 ლარი |
| თანადაფინანსება | 9,440 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 კაცი |

„ქედა ლიდერის“ მხარდაჭერით, ბენეფიციარმა ირინა ბეჟანიძემ GPS-GNSS სისტემისა და Topcon Hiper V. ხელსაწყოები შეიძინა, რის შედეგადაც დღეს ქედის მუნიციპალიტეტში უკვე შესაძლებელია მიწის ნაკვეთებისა და სხვადასხვა ტიპის შენობის აზომვითი ნახაზების გაკეთება. მანამდე, ფაქტობრივად არ არსებობდა მსგავსი ტიპის მომსახურება და მოსახლეობას ნახაზების შეკვეთა ბათუმის მერიაში უწევდა, რაც დამატებით დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

პროექტის ბენეფიციარს, ირინა ბეჟანიძეს, ამ საქმიანობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს. თანამედროვე ხელსაწყოების დახმარებით, ის მოსახლეობას აზომვით მომსახურებას უწევს, როგორც ქედის მუნიციპალიტეტში, ისე მის გარეთ.

# SURVEYING SERVICES IN KEDA MUNICIPALITY

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Irina Bezhanidze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality |
| **Project Budget** | 31,460 GEL |
| **EU funding** | 22,220 GEL |
| **Co-financing** | 9,440 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

Keda LEADER supported a surveying enterprise founded by the beneficiary Irina Bezhanidze who is offering a unique service to the municipality. With support from Keda LEADER, she purchased a GPS-GNSS system and Topcon Hiper V. tools, which have made it possible to make cadastral survey plans that show the extent, value, and ownership of land and different types of buildings in Keda Municipality.

Prior to this, there was no such service in the municipality and customers had to order plans from the Batumi City Hall, leading to additional time and costs.

The beneficiary of the project, Irina Bezhanidze, has 11 years of experience in this field and now, with the help of modern tools, provides services to the population both inside and outside of Keda Municipality.



# ციფრული სერვისებით მომსახურება - დაბა ქედა

+995 595 804 444

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | დავით ბერიძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 17,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 13,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი: 3 ქალი, 1 მამაკაცი |

ქედას ციფრული სერვისების ცენტრი პირველია მუნიციპალიტეტში, რომელიც მომხმარებლებს შემდეგი მომსახურებით სარგებლობას სთავაზობს: ფოტო/ვიდეოგადაღება, ბილბორდებისა და სარეკლამო ფლაერების დამზადება, სარეკლამო რგოლების დამზადება და სხვადასხვა ციფრული პროდუქტის შექმნა. ციფრული სერვისების ცენტრით ისარგებლებენ არა მარტო ადგილობრივები, არამედ ახლომდებარე მუნიციპალიტეტები და ორგანიზაციები. ციფრული მომსახურების განვითარება ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას და ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდას.

“ქედა ლიდერის” მხარდაჭერით, ბენეფიციარმა დავით ბერიძემ მოაწყო არსებული ფართი, მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, შეიძინა და დაამონტაჟა საჭირო ციფრული ტექნიკა.

# DIGITAL SERVICES - TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Davit Beridze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Town of Keda |
| **Project Budget** | 17,000 GEL |
| **EU funding** | 13,000 GEL |
| **Co-financing** | 4,000 GEL |
| **Number of employees** | 4 persons: 3 women, 1 man |

The Digital Service Center established in Keda is the first company in the municipality to offer customers the following digital services: photo/video shooting, designing and printing billboard and flyers, advertisement production, and the creation of various digital products. The digital service center will be utilised not only by the local community but also by people from nearby municipalities. The development of digital services will promote the small businesses as well as the growth of tourism potential in the region.

With the help of the project, the beneficiary Davit Beridze renovated the building, improved the infrastructure, and purchased and installed the required digital equipment.



+995 591 980 825

# ავტოსამრეცხაოს გაფართოება - დაბა ქედა

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ხათუნა ბოლქვაძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 9,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 1 ქალი, 4 კაცი |

ხათუნა ბოლქვაძემ საკუთარ 35კვ.მ ფართში ავტოსამრეცხაო 2016 წლიდან გახსნა. ბოლო წლების მანძილზე, სერვისზე მუნიციპალიტეტში მზარდი მოთხოვნაა.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარმა სამრეცხაოს გაფართოება და მომსახურების მოდერნიზება შეძლო. შეიძინა და დაამონტაჟა შესაბამისი ინვენტარი: მაღალი წნევის რეცხვის აპარატი, ჰაერის კომპრესორი, მტვერსასრუტი, მშრალი ქიმწმენდისა და ქაფის აპარატები. შედეგად, ავტოსამრეცხაო ქედის მოსახლეობას მაღალი ხარისხის უკონტაქტო ავტო რეცხვისა და ქიმიური დასუფთავების სერვისს აწვდის და დამატებით, ხალიჩის რეცხვის სერვისსაც სთავაზობს.

# CAR WASH EXPANSION TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Khatuna Bolkvadze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Town of Keda |
| **Project Budget** | 9,000 GEL |
| **EU funding** | 8,000 GEL |
| **Co-financing** | 1,000 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 1 woman, 4 men |

This 35 m² car wash owned by Khatuna Bolkvadze has been in operation since 2016. There is a growing demand for this service in the municipality.

The project supported an expansion and modernization of the car wash, in particular, through the purchase and installation of the appropriate equipment: high-pressure machine for washing cars, an air compressor, vacuum cleaner, and dry-cleaning and foam machines.

As a result, the car wash provides residents of Keda with high quality touchless car washes and dry-cleaning, as well as additionally carpet washing services.



# სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამამზადებელი სახელოსნო სოფელი ქვედა ბზუბზუ

+995 555 579 521

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ლევან ბარამიძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ბზუბზუ |
| პროექტის ბიუჯეტი | 9,610 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 8,170 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,440 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 2 ადამიანი |



სოფელ ქვედა ბზუბზუში, ლევან ბარამიძის სამჭედლოში სამეურნეო იარაღები მზადდება, რომლებითაც ადგილობრივი მოსახლეობა და მიმდებარე სოფლები მარაგდება.

პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარმა 30კვ.მ ფართის შენობა ააშენა, რომელიც ყველა საჭირო რესურსით უზრუნველჰყო და სპეციალური ტექნიკური დანადგარებით აღჭურვა.

ლევან ბარამიძე უკვე მრავალი წელია ამზადებს და არემონტებს სამეურნეო იარაღებს. პროექტის დახმარებით, მას შესაძლებლობა მიეცა თავისი ნაშრომით თემისთვისაც მოეტანა სარგებელი.

# AGRICULTURAL TOOL MAKING SERVICE - KVEDA BZUBZU VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Levan Baramidze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Kveda Bzubzu Village |
| **Project Budget** | 9,610 GEL |
| **EU funding** | 8,170 GEL |
| **Co-financing** | 1,440 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

The blacksmiths in the village of Kveda Bzubzu make and repair agricultural tools for the local population and surrounding villages.

With the support of the project, the beneficiary built a 30m2 building and purchased all the necessary re-sources and technical equipment.

Levan Baramidze has been producing and repairing agricultural tools for many years. With the help of the project he was given the opportunity to improve his practice and continue to do essential work for the community.



# ავტოსამრეცხაო „დანდალო“ სოფელი დანდალო

+995 599 351 351

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | როსტომ მანველიძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | სოფელი დანდალო, ქედის მუნიციპალიტეტი |
| პროექტის ბიუჯეტი | 33,760 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 23,040 ლარი |
| თანადაფინანსება | 10,720 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 2 ქალი, 1 კაცი |



ავტოსამრეცხაო „დანდალო“ ბათუმი-ხულო-ახალციხის ცენტრალურ მაგისტრალზეა განთავსებული. ესაა თვითმომსახურების ავტომატური ბოქსებით აღჭურვილი პირველი სამრეცხაო, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, ერთდროულად რამდენიმე ავტომობილს მოემსახუროს და შეამციროს დრო და ხარჯი.

ახალ ავტომატურ აპარატებთან ერთად, დამონტაჟდა თვითმომსახურების სავაჭრო აპარატი, განთავსდა კვების სერვისი.

პროექტის შედეგად, შეიქმნა კომპლექსური ობიექტი, რომელიც მომხმარებელს თვითმომსახურებაზე ორიენტირებულ სერვისს სთავაზობს. გადატვირთული საავტომობილო მოძრაობის პირობებში, ასეთი ავტორსამრეცხაოს არსებობამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სერვისის მიწოდების დრო და დანახარჯი.

ბენეფიციარი როსტომ მანველიძე სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობას ეწევა - აქვს საკუთარი საოჯახო სასტუმრო, მარნის ტიპის კვების ობიექტი, ვენახი და ავტოსამრეცხაო. ბიზნესის წარმართვა საკმაოდ კარგად იცის და ობიექტის სტრატეგიულ მნიშვნელობაშიც ერკვევა.

# CAR WASH "DANDALO" DANDALO VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Rostom Manvelidze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Dandalo Village, Keda Municipality |
| **Project Budget** | 33,760 GEL |
| **EU funding** | 23,040 GEL |
| **Co-financing** | 10,720 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 2 women, 1 man |

Dandalo is the first car wash on the central Batumi-Khulo-Akhaltsikhe highway to be equipped with automatic service boxes, which have the ability to serve several customers simultaneously.

Along with the automatic machines, a self-service vending machine was installed and a food facility was set up.

The project resulted in the creation of a facility that offers self-service-oriented resources to customers, reducing time and costs in congested traffic conditions.

Rostom Manvelidze is engaged in various business activities - he owns a guesthouse, a food facility, a vineyard, and the car wash. He is an experienced businessman and has an in-depth understanding of the strategic importance of the facility.



# ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲪᲮᲔᲛᲜᲐ

+995 593 312 890

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | თემურ შაქარაძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხემნა |
| პროექტის ბიუჯეტი | 19,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 15,200 ლარი |
| თანადაფინანსება | 3,800 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 2 ადამიანი |

სოფელ ცხემნაში, თემურ შაქარაძეს უკვე 30 წელია, რაც საბურავების შესაკეთებელი საამქრო აქვს. თუმცა, მოძველებული დანადგარები ვერ უზრუნველყოფდა თანამედროვე მანქანების მომსახურებას. მსგავსი პრობლემას მუნიციპალიტეტის დანარჩენ ორ ავტოსერვისსაც აქვს.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, საამქრო თანამედროვე დაზგა-დანადგარებით აღიჭურვა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილებული პირებისათვის ხარისხიანი ავტომომსახურების გაწევა, ნაკლები დანახარჯით.

# TEMUR SHAKARADZE’S VULCANIZATION SERVICE TSHKHEMNA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Temur Shakaradze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Tskhemna Village |
| **Project Budget** | 19,000 GEL |
| **EU funding** | 15,200 GEL |
| **Co-financing** | 3,800 GEL |
| **Number of employees** | 2 persons |

Temur Shakaradze has had a tire repair shop for 30 years but most of his older equipment cannot serve modern cars, which is an issue for the municipality’s two other car maintenance facilities as well.

Keda LEADER supported the business by equipping it with modern machinery, making it possible to provide quality car services to people in the territory of Keda Municipality at a lower cost.



# ავტოსამრეცხაო დაბა ქედა

+995 593 103 702

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | გელა ბეჟანიძე |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 27,300 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 19,930 ლარი |
| თანადაფინანსება | 7,370 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 1 ადამიანი |



ქედის მუნიციპალიტეტში ხალიჩებისა და ავტომობილების რეცხვაზე დიდი მოთხოვნაა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთი ადგილობრივი ავტოსამრეცხაო ფუნქციონირებდა.

ბენეფიციარ გელა ბეჟანიძის ინიციატივით, პროექტ „ქედა ლიდერის“ ფარგლებში, 24-საათიანი ავტოსამრეცხაო გაიხსნა. პერსონალისგან სერვისის მიღების გარდა, მომხმარებლებს თვითმომსახურებითაც შეუძლიათ სარგებლობა. ავტომობილებთან ერთად, შესაძლებელია ხალიჩებისა და სხვადასხვა ნივთის გარეცხვაც. გელა ბეჟანიძეს ამ სფეროში მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება აქვს, რაც საკუთარი ბიზნესის მართვაში ეხმარება.

# CAR WASH - TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Gela Bezhanidze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Town of Keda |
| **Project Budget** | 27,300 GEL |
| **EU funding** | 19,930 GEL |
| **Co-financing** | 7,370 GEL |
| **Number of employees** | 1 person |

There is a high demand for a good car wash and carpet cleaning in Keda municipality. Despite this fact, up until now there has only been one local car wash in operation.

With the initiative of the beneficiary Gela Bejanidze and with the support of the Keda LEADER project, a 24 hour car wash was opened in the town of Keda. The enterprise offers both self and personnel service. Along with car wash, there is also carpet cleaning and the option to clean miscellaneous items as well.

Gela Bejanidze has 7 years of experience in this field which helps him to manage his business properly and to provide quality services to his customers.



# ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრი - დაბა ქედა

+995 591 980 980

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრი |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 8,800 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 7,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 1,300 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 4 ადამიანი |

ქედის ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრი ადგილობრივ ბიზნესებს, მეწარმეებსა და ორგანიზაციებს კომპლექსურ კონსულტაციას უწევს საფინანსო, საბუღალტრო და იურიდიულ საკითხებში. ამას გარდა, ცენტრის მომსახურება მოიცავს მარკეტინგულ საკითხებს - სოციალურ მედიას, ვებგვერდის შექმნას, ტურისტულ ვებგვერდებზე დარეგისტრირებასა და ანგარიშის გახსნას.

ბოლო წლებში, ქედის მუნიციპალიტეტის ბიზნესსექტორი საგრძნობლად გაიზარდა, ამასთან, იმატა ბიზნესკონსულტაციებზე მოთხოვნამაც, რის დაკმაყოფილებაზეც ცენტრი იმუშავებს.

"ქედა ლიდერის" მხარდაჭერით, ცენტრმა საოფისე რესურსების შეძენა შეძლო, რამაც ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი.

ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის დამფუძნებელი ბენეფიციარი არჩილ დევაძეა. მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ფინანსების სფეროში.

# KEDA BUSINESS CONSULTING CENTER TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Business Consulting Center |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality, Town of Keda |
| **Project Budget** | 8,800 GEL |
| **EU funding** | 7,500 GEL |
| **Co-financing** | 1,300 GEL |
| **Number of employees** | 4 persons |

The Business Consulting Center in Keda Municipality provides comprehensive advice to local businesses, entrepreneurs, and organizations on financial, accounting, and legal issues.

Kdea Business Consulting Center services also provide marketing services, including consultations regarding social media, building websites, travel website registration, and the opening of new accounts.

The project funded the new office resources, which significantly contributed to improving the business operations.The business sector of Keda Municipality has grown significantly in recent years and so has the demand for business consultation services, which the center is now able to properly accommodate.

Archil Devadze, the founder of the Business Consulting Center, is an experienced financier, giving him the experience and skills he needs to direct the center.



+995 591 313 965

# ტურისტული მომსახურება და პოლიგრაფიული სერვისები „ჩვენ შეგვიძლია“ - ქედა

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | საინიციატივო ჯგუფი „ჩვენ შეგვიძლია“ |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი |
| პროექტის ბიუჯეტი | 45,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 31,500 ლარი |
| თანადაფინანსება | 13,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი |



„ჩვენ შეგვიძლია“ საინიციატივო ჯგუფია, რომლის წევრებიც სხვადასხვა პროფესიული უნარების მქონე შშმ პირები არიან. ისინი ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას მრავალფეროვან სერვისს სთავაზობენ: ფოტოების გადაღებას, სხვადასხვა ნივთზე თერმოპრესით ბეჭდვას, პოლიგრაფიულ სერვისებსა და ხელნაკეთ სუვენირებს.

“ქედა ლიდერის” პროექტის ფარგლებში, შეიქმნა მობილური თერმოპრესის ლაბორატორია, რომელიც ტურისტულ ზონებში საინტერესო ფოტოების გადაღებისა და ფოტოკოპირების სერვისისთვის საჭირო ყველა ტექნიკითაა აღჭურვილი. გაიხსნა პოლიგრაფიული სერვისების მიწოდების, სუვენირებისა და საჩუქრების სავაჭრო ობიექტი. საინიციატივო ჯგუფის იდეამ ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული მომსახურების განვითარებას და ტურისტულ ზონებში სერვისების დივერსიფიკაციას შეუწყო ხელი.

# TOURIST SERVICES AND POLYGRAPH PRINTING SERVICES CHVEN SHEGVIDZLIA KEDA MUNICIPALITY

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Initiative Group “Chven Shegvidzlia” |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Keda Municipality |
| **Project Budget** | 45,000 GEL |
| **EU funding** | 31,500 GEL |
| **Co-financing** | 13,500 GEL |
| **Number of employees** | 5 persons |

Chven Shegvidzlia (We Can) is an initiative group made up of members with disabilities that possess a range of professional skills. They offer a variety of services to tourists and residents: photo shooting, thermopress printing on various items, polygraph printing services, and handmade souvenirs that are sold in their own shop.

Through the project, a mobile thermopress laboratory was set up that was equipped with all the necessary machinery for shooting photos and photocopying services in tourist areas. The project also opened a trade facility for the supply of printing services, souvenirs, and gifts.

The initiative group's idea has facilitated the development of tourism in Keda Municipality and the diversification of services in tourism.


FM3510
INTELLIGENT
ATTENTION
TEMPERATURE C
MODE
STOP









+995 577 908 003

# ვეტერინარული კლინიკა ქედის მუნიციპალიტეტი

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი” |
| სექტორი | მომსახურების სფერო |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა |
| პროექტის ბიუჯეტი | 72,280 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 43,370 ლარი |
| თანადაფინანსება | 28,910 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 5 ადამიანი: 2 ქალი, 3 მამაკაცი |

ქედის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია და მისი განვითარებისთვის შესაბამისი ვეტერინარული მომსახურებაა საჭირო „აგროსერვისცენტრმა“, ადგილობრივი ფერმერებისთვის ხარისხიანი სერვისის შეთავაზება შეძლო.

„ქედა ლიდერის“ ხელშეწყობით, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრმა“ მუნიციპალიტეტის მეცხოველე ფერმერებისთვის მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და სხვა პირუტყვის ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური მომსახურების მიზნით, ვეტერინარული კლინიკა გახსნა. კლინიკა სრულადაა აღჭურვილი საჭირო მედიკამენტებით, დანადგარებითა ოპერაციების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარით, ასევე, ფუნქციონირებს ვეტ-ლაბორატორიები. კლინიკა საშუალოდ 26000დან 36000-მდე პირუტყვს და შესაბამისად, ქედის რაიონის 18 000 მაცხოვრებელს ემსახურება.

# VET CLINIC - TOWN OF KEDA

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Gela Bezhanidze |
| **Sector** | Service Industry |
| **Location** | Town of Keda |
| **Project Budget** | 72,280 GEL |
| **EU funding** | 43,370 GEL |
| **Co-financing** | 28,910 GEL |
| **Number of employees** | 5 persons: 2 women, 3 men |

Livestock breeding is one of the fastest growing agricultural sectors in Keda Municipality and proper veterinary services are needed for its development. Agroservice Center has been able to offer quality services to local farmers.

With the support of Keda Leader, A (A) IP Agroservice Center opened a veterinary clinic for livestock farmers for veterinary-sanitary and zoo-hygiene services. The clinic is fully equipped with the necessary medicines, equipment and technology for operations, as well as vet laboratories. The clinic can service an average of 26,000 to 36,000 livestock owned by approximately 18,000 residents in the Keda district.



# წარმოება

## MANUFACTURING

ეროვნული სტატისტიკის თანახმად, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ქედაში ბიზნესის სექტორის წლიურმა შემოსავალმა მნიშვნელოვნად იმატა, ხოლო მუნიციპალიტეტის საქონელწარმოება სამჯერ გაიზარდა.

ქედის ადგილობრივმა განვითარების ჯგუფმა მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტში არსებულ მეორეულ მწარმოებლებს და 12 მცირე და საშუალო საწარმოო ბიზნესი დააფინანსა. ამგვარად, ხელი შეუწყო ღირებულების ჯაჭვის შემუშავებასა და დამატებული ღირებულების პროდუქტების ადგილობრივ წარმოებას, რაც ეკონომიკურ საქმიანობას ზრდის.

According to the National Statistics of Georgia, the annual revenues of the business sector in Keda have increased over the past two years and the production of goods in the municipality has tripled.

The Local Action Group supported secondary industries in the municipality and funded a total of 12 small and medium manufacturing businesses in order to ensure that value chains are developed and value added products are being locally produced, thus increasing economic activity.



# მშრალი ხილის საწარმო „კერკი“ სოფელი ძენწმანი

+995 555 355 999

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შპს „აგროქსელი” |
| სექტორი | მრეწველობა / სოფლის მეურნეობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძენწმანი |
| პროექტის ბიუჯეტი | 316,500 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 180,000 ლარი |
| თანადაფინანსება | 136,500 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | მუდმივად: 40 ადამიანი, სეზონურად: 50 ადამიანი |

ქედის მუნიციპალიტეტში ხილის საწარმო „კერკი“ დაარსდა, რომელიც სრული დატვირთვით 2021 წელს ამუშავდება და გადამუშავებული ნედლეულისგან სხვადასხვა სახის მშრალ პროდუქტს აწარმოებს, მათ შორის: ჩირს, ტყლაპს, ცუკატს, კაკლოვანსა და ჩურჩხელას. საწარმო განახლებადი ენერგორესურსებით იმუშავებს და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებს გამოიყენებს. სამუშაო პროცესში გამოიყენება მზის და გეოთერმული ენერგია. ხილის შრობის პროცესში კი ენერგიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება ბიომასა.

“ქედა ლიდერის” ხელშეწყობით, მოეწყო შენობა, რომელიც მომზადდა წარმოებისთვის და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. ბენეფიციარმა შეძლო შეეძინა დანადგარები, სადისტრიბუციო ტრანსპორტი და სხვა საჭირო რესურსი.

საწარმო მაღალკვალიფიციური პერსონალითაა დაკომპლექტებული. პროდუქცია გათვლილია როგორც საქართველოს ბაზრისთვის, ისე საექსპორტოდ.

# DRIED FRUIT ENTERPRISE KERKI DZENTSMANI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | “Agrokseli” Ltd |
| **Sector** | Manufacturing / Agriculture |
| **Location** | Keda Municipality, Dzentsmani Village |
| **Project Budget** | 316,500 GEL |
| **EU funding** | 180,000 GEL |
| **Co-financing** | 136,500 GEL |
| **Number of employees** | permanent employees: 40 persons; seasonal employees: 50 persons |

The dried fruit factory Kerki, established in Keda Municipality, will be fully launched in 2021 and will produce various dry products from processed raw material such as dried fruits, tklapi (a dried and flattened fruit porridge), candied citrus peels, churchkhela, and other walnut products.

The enterprise will use renewable energy resources and energy saving technologies such as solar and geothermal energy. Biomass will be one of the primary sources of energy for the fruit drying process.

Through Keda LEADER, the enterprise was renovated and the building was prepared for production and equipped with all the necessary inventory. Equipment for transport and distribution and other important resources were also purchased.

The enterprise employs highly qualified staff. The products are intended for the Georgian market as well as for export.







# ხის საამქრო „გოგორა“ სოფელი კუჭულა

+995 591 980 830

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ბადრი თურმანიძე |
| სექტორი | წარმოება / მრეწველობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქულუხა |
| პროექტის ბიუჯეტი | 19,970 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 15,970 ლარი |
| თანადაფინანსება | 4,000 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 10 ადამიანი: მათ შორის, 2 შშმ პირი |



მერისის ხეობის სოფელ ქულუხაში, ბადრი თურმანიძემ ხის საამქრო „გოგორა“ მოაწყო. საამქრო საბავშვო პროდუქციას ამზადებს, მათ შორის: საბავშვო ავეჯს, აჭარულ ეთნოგრაფიულ სათამაშოებს, ეზოს ხის სახლებს, ველოსიპედებსა და სხვა. ბუნებრივი ხის მასალისა და ეკოსაღებავებისგან დამზადებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და უსაფრთხოა ბავშვებისათვის.

“ქედა ლიდერის” ხელშეწყობით, ბენეფიციარმა სამუშაო გარემოსა და საამქროს შენობის მოწესრიგება შეძლო. ამას გარდა, შეიძინა და დაამონტაჟა ტექნიკური საშუალებები და ინვენტარი.

ბადრი თურმანიძეს ოჯახისგან გადმოეცა ხეზე მუშაობის ცოდნა და გამოცდილება. მისი მიზანია, საკუთარი ცოდნის თანამედროვე ტექნოლოგიებთან შეჯერება შეძლოს და პარტნიორებთან ერთად, მუნიციპალიტეტსა და რეგიონში ხის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქცია აწარმოოს.

*პროტოტიპები მომზადდა “შემოქმედებითი საქართველოს” პროექტის ფარგლებში

# WOODEN CRAFTS WORKSHOP GOGORA - KUCHULA VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Badri Turmanidze |
| **Sector** | Manufacturing |
| **Location** | Keda Municipality, Kuchula Village |
| **Project Budget** | 19,970 GEL |
| **EU funding** | 15,970 GEL |
| **Co-financing** | 4,000 GEL |
| **Number of employees** | 10 persons, including 2 with disabilities |

The workshop Gogora, in the village of Chulukha, Merisi gorge, produces wooden items for children, such as children's furniture, Ajaran ethnographic toys, wooden houses for the yard, bicycles, and others. These products, all made from natural wood and eco-friendly dyes, are of high quality and safe for children.

Within the framework of the project, the working area and the workshop building were renovated and machinery and other materials were purchased and installed.

Badri Turmanidze has experience and knowledge building wooden products that has been passed down through his family. His aim is to combine his knowledge with modern technologies and to produce eco-friendly and safe wood products in the municipality and in the region together with strategic partners.

*prototypes have been produced within the Creative Georgia project



+995 591 988 413

# დურგალი XXI სოფელი ცხმორისი

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | ჯუმბერ გოგიტიძე |
| სექტორი | წარმოება / მრეწველობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხმორისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 5,000 ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 4,250 ლარი |
| თანადაფინანსება | 750 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 3 ადამიანი: 1 ქალი, 2 მამაკაცი |



ჯუმბერ გოგიტიძემ, სოფელ ცხმორისში, ხის საამქრო „დურგალი XXI" დააფუძნა. საწარმო გამხმარი, ქარისგან მოგლეჯილი და სხვა ტიპის დაზიანებული ხისაგან საახალწლო დეკორაციებს, პატარა მაგიდებსა და სხვადასხვა აქსესუარს ამზადებს.

პროექტ „ქედა ლიდერის" ფარგლებში, ბენეფიციარმა „დურგალი XXI"-ისთვის კიდევ ერთი დაზგის შეძენა შეძლო.

ჯუმბერ გოგიტიძეს დურგლობის 5-წლიანი გამოცდილება აქვს. მას უკვე ჰქონდა წარმოებისთვის საჭირო დანადგარები. ახალი დაზგის შეძენა კი, წარმადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

# CARPENTRY XXI TSKHMORISI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Jumber Gogitidze |
| **Sector** | Manufacturing |
| **Location** | Keda Municipality, Tskhmorisi Village |
| **Project Budget** | 5,000 GEL |
| **EU funding** | 4,250 GEL |
| **Co-financing** | 750 GEL |
| **Number of employees** | 3 persons: 1 woman, 2 men |

Carpentry XXI is a wood workshop located in the village of Tskhmorisi, Keda Municipality. The enterprise exclusives works with withered, wind-blown, and other types of damaged wood to make New Year's decorations, small tables, and various other products. With the support of the project the workshop was able to buy an additional woodworking machine. The beneficiary of the project, Jumber Gogitidze, has 5 years of carpentry experience. Before the project he already had most of the required equipment in his workshop. The additional machine has increased his production capacity and productivity.



+995 555 715 166

# ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲤᲠᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲔᲜᲬᲛᲐᲜᲘ

| | |
|---|---|
| **ბენეფიციარი** | ირაკლი შავიშვილი |
| **სექტორი** | წარმოება / მრეწველობა |
| **ადგილმდებარეობა** | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძენწმანი |
| **პროექტის ბიუჯეტი** | 190,680 ლარი |
| **ევროკავშირის დაფინანსება** | 113,000 ლარი |
| **თანადაფინანსება** | 77,680 ლარი |
| **დასაქმებულთა რიცხვი** | 13 ადამიანი: 6 ქალი, 7 მამაკაცი |



სოფელ ძენწმანში, ირაკლი შავიშვილმა გაყინული კარტოფილი ფრის საწარმო გახსნა, რომელიც ამ ეტაპზე, 150 ტონა გაყინულ კარტოფილს ამზადებს. წარმოებისთვის ადგილზე მოყვანილი კარტოფილი გამოიყენება, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სტაბილური შემოსავლის შექმნისა და მთლიანობაში, დარგობრივი განვითარების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ნახევრადავტომატური მანქანა-დანადგარებით, სამაცივრე საკნებითა და სხვა საჭირო ტექნიკური რესურსით აღჭურვილი საწარმო სურსათის უვნებლობის სტანდარტებს აკმაყოფილებს. სამომავლოდ, წარმოება ეტაპობრივად გაიზრდება და სრულად მომარაგდება ქედის, ბათუმისა და ქობულეთის სარესტორნო და კვების ობიექტები.

“ქედა ლიდერის” ხელშეწყობით, საწარმო აღიჭურვა 11 სხვადასხვა მანქანა-დანადგარით, სასწორებით, შესაფუთი აპარატით, ორი სამაცივრე საკნით, ასევე საოფისე ავეჯით, კონდიციონერებითა და სხვა ინვენტარით.

# PRODUCTION OF FROZEN FRENCH FRIES - DZENTSMANI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Beneficiary** | Irakli Shavishvili |
| **Sector** | Manufacturing |
| **Location** | Keda Municipality, Dzentsmani Village |
| **Project Budget** | 190,680 GEL |
| **EU funding** | 113,000 GEL |
| **Co-financing** | 77,680 GEL |
| **Number of employees** | 13 persons: 6 women, 7 men |

Irakli Shavishvili runs a frozen french fry enterprise in Dzentsmani village, Keda Municipality that currently produces 150 tons of frozen fries and uses locally grown potatoes, creating additional opportunities for income stability for the local population and contributing to the sectoral development overall.

Through Keda LEADER's support, the enterprise was equipped with 11 different machines, scales, packaging equipment, two refrigeration cells, as well as office furniture and air conditioners. The enterprise now has modern, semi-automatic machines, refrigeration cells, and other necessary technical resources to meet food safety standards. The enterprise is gradually increasing its production, which will fully supply restaurants and food facilities in Keda, Batumi, and Kobuleti.



# მაწვნის საწარმო და ინოვაციური ტურისტული სივრცე სოფელი პირველი მაისი

+995 555 102 025

| | |
|---|---|
| ბენეფიციარი | შპს „სახლი" |
| სექტორი | წარმოება / მრეწველობა |
| ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი მაისი |
| პროექტის ბიუჯეტი | 118,980, ლარი |
| ევროკავშირის დაფინანსება | 78,430 ლარი |
| თანადაფინანსება | 41,650 ლარი |
| დასაქმებულთა რიცხვი | 6 ადამიანი: 3 ქალი, 3 მამაკაცი |



სოფელ პირველ მაისში მაწვნის საწარმო შეიქმნა, სადაც მაწონთან ერთად, მგზავრებისა და ტურისტებისათვის, ცხელი შოკოლადი და ყავა მზადდება. საქმიანობა სურსათის უვნებლობის სტანდარტების სრული დაცვით მიმდინარეობს. გაყიდვების მოცულობა სეზონურად ცვალებადია. მაგალითისათვის, ზაფხულის სეზონზე 14500 ქილა მაწვნის რეალიზაცია ხდება, ხოლო სხვა სეზონებზე - 7500 ქილის.

